# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

 დაარსებულია 1918 წელს. 

სამშაბათი, 28 აგვისტო, 2012 წელი.

№164 (7040)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# დღეს მარიამობაა, გილოცავთ!



28 აგვისტოს საქართველოს სამოციქულო ეკლესია მარიამობას დღესასწაულობს.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრება ღვთის მადლით იყო გაბრწყინებული... მარიამ ღვთისმშობელი მოციქულთა მსგავსად, სიტყვით და ლოცვით განამტკიცებდა ჩვენს დედა-ეკლესიას, მთელ ქრისტიანულ სამყაროს.

ქრისტიანები დედა ღვთისმშობელს უდიდეს პატივს მიაგებდნენ, ამიტომ მის ყოველ სიტყვას და საქმეს იმახსოვრებდნენ. მათ შემოგვინახეს ქალწული მარიამის ხასიათის და გარეგნობის აღწერაც.

მარიამ ღვთისმშობლის სახელი ყველგან იყო გავრცელებული, ბევრს შურდა კიდევაც მისი, მაგრამ ღმერთი იფარავდა მას. იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებიდან მეჩვიდმეტე წელს, 28 აგვისტოს მიიძინა წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში, სადაც იგი მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა...

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს არც მიძინების შემდეგ მიუტოვებია ქვეყნიერება და მეოხია ყველასი, ვინც მას მიმართავს: „...დედოფალო, გვაცხოვნენ ჩვენ!“

გიული ლიპარტია

# მრავალჟამიერ სიცოცხლესა და წარმატებებს გისურვებთ!..



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულწრფელად ულოცავს გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს დაბადებიდან 90 წლისთავს.

მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს ისტორიის, კერძოდ, ქართული მედიევისტიკის განვითარებაში, შუქი მოჰფინეს ბევრ მანამდე გადაუჭრელ პრობლემას; ამავე დროს მეცნიერი ყოველთვის გულმხურვალედ გამოხატავს საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებისადმი დამოკიდებულებას, პირნათლად იხდის მეცნიერი-პატრიოტის ვალს სამშობლოს წინაშე; მას შეუძლია იამაყოს თავისი ღირსებით განვლილი გზით, შემოქმედებითი საქმიანობითა და საზოგადოებრივი ცხოვრებით.

ვუსურვოთ ქალბატონ მარიამს მრავალჟამიერი სიცოცხლე და მაღალი ღირსებით აღნიშნული წარმატებული საქმიანობის გაგრძელება.

თამაზ გამყრელიძე,
აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი.

6-7

# ზუგდიდელებო, მეგრელებო! – ნუ ექებთ სწორ გზებს სიბნელესა და შიშში, მოიკრიბეთ ძალები და მხარში ამოუდექით ერთმანეთს! ვინც მხარს უჭერს სიკეთეს – ის თავის თავს აძლიერებს! გაერთიანდეთ!



42

ვლადიმერ ვახანია საქართველოს საპარლამენტო არჩევნების ისტორიაში არის პირველი პატიმარი (პოლიტპატიმარი), რომელიც დარეგისტრირდა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში.

მთლიანი საქართველო

აქვე უნდა ითქვას, რომ, როგორც არჩევნების სუბიექტს, შეზღუდული აქვს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება და იმყოფება არათანასწორ მდგომარეობაში სხვებთან შედარებით.

იხ. 3 გვ.

### საარჩევნო კაკაფონია

# არის თუ არა ლენინიზმი საქართველოში?

**„არის ლენინიზმის მცირედი ნაწილი ამ საარჩევნო კამპანიაში; ლენინიზმია, როდესაც ხდება არა პროგრამების წარმოდგენა, არამედ მცდელობა გაანადგურო მტრები“, — განაცხადა „ოფიციალურ“ პრესკონფერენციაზე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა რიკარდო მილიორიმ.**

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ბატონი მილიორის ფრაზა ექსპრომტი ნამდვილად არ იყო და ვერც იქნებოდა: „ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია“ სერიოზული საერთაშორისო გაერთიანებაა და მისი ხელმძღვანელები სიტყვას ყოველთვის უფრთხილდებიან, ანუ, ქართულად თუ ვიტყვით „ჭკუას ატანენ სათქმელს“.

მილიორის ზუსტად იმ მიზნის მიღწევა სურდა, რასაც ოსტატურად მიაღწია კიდეც: ჩვენში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის თაობაზე დისკუსიის პროვოცირების. პოლიტიკოსები რომ ამ დისკურსში ობიექტურები არ (ვერ) იქნებოდნენ, გამოცდილმა ევროპელმა დიპლომატმა იმთავითვე იცოდა, ამიტომ უფრო საზოგადოებას მიმართავდა: დააკვირდით რა ხდება და რა მეთოდებით მიმდინარეობს საარჩევნო ბრძოლაო.

ნებისმიერი ობიექტური დამკვირვებელი, ვისაც არა აქვს „ემოციური ბმა“ რომელიმე დაპირისპირებულ მხარესთან და მის დამარცხება-გამარჯვებას პიროვნულ ტრაგედიად არ აღიქვამს, უმალ შენიშნავდა, რომ ეს ბრძოლა კარგა ხანია გასცდა „ევროპულ ჩარჩოებს“ და ქვეყანა ნელ-ნელა დაამსგავსა სამხეცეს, სადაც იდეათა ჭიდილზე საუბარი სასაცილოა. გასარკვევი ისაა, ვინ ვის მოერევა და ვინ ვის „შეჭამს“: არის ერთი ზღავილი და კბილთა ღრჭენა.

სწორედ ესაა ლენინიზმის კვინტესენცია: ვლადიმერ ილიჩ ულიანოვი არასდროს წყალობდა მათ, ვინც მასთან არ იყო: „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია!“ — ამ ლოზუნგით გაანადგურა ჯერ სოციალ-დემოკრატები, შემდეგ ესერები. გასაკვირი იქნებოდა, მილიორის ორივე დაპირისპირებული მხარის ლენინიზმი ვერ შეემჩნია და გვითხრა კიდეც: დალოცვილნო, თუ დემოკრატიული არჩევნები და პლურალიზმი გინდათ, ამას ცოტა მეტი კულტურა სჭირდება, ვიდრე სამხეცეში ძალით და ეშვებით „პრობლემების“ გადაწყვეტასო.

ევროპელი პოლიტიკოსის ფრაზას მძვინვარე რეაქცია მოჰყვა. გიგი წერეთელმა ტელემაყურებელი იმით დაამშვიდა, „მილიორის ხომ „სრული ლენინიზმი“ არ უთქვამს, მხოლოდ „მცირე დოზა“ შენიშნაო. თითქოს დიდი შეღავათი იყოს. ლენინიზმი, მცირე დოზით იქნება თუ სრულით, მაინც ლენინიზმია და იმაზე მეტყველებს, რომ არა ვართ ნორმალური ქვეყანა. კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავკაცი მკაცრად გააკრიტიკა: მაგას ლენინი არ უნახავსო.

ცხადია, ევროპელებს ძალიან აშფოთებთ სიძულვილით ანთებული თვალებისა და პათოლოგიური ვნებით ათრთოლებულ ბაგეთა ხილვა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეებთან დახურულ კარს მიღმა ცალ-ცალკე შეხვედრისას და ახსოვთ, რომ მათ სამშობლოშიც და ჩვენს სამეზობლოშიც, სწორედ ამგვარმა შეურიგებლობამ გამოიწვია საზარელი სამოქალაქო ომები. გულმოწყალედ ვეცოდებით ასეთი ხვედრისთვის, თუმცა, დიპლომატიურად გვაფრთხილებენ, რომ ბევრს ვერაფერს გვიშველიან, თუ თავს თვითონ ვერ ვუშველეთ და როგორმე არ მოვიშალეთ ჩვევები, რაც განუწყვეტლივ გვაბრუნებს წრეზე უკვე 20 წელია.



შეუძლებელია რაფინირებული კულტურის მატარებელ ევროპელს ეს ვერ ეგრძნო, მაგრამ თავისი განცვიფრებისა და ამრეზის გამოსახატად ასეთივე რაფინირებული ფორმა იპოვა: „მცირე დოზით ლენინიზმიაო“ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ანუ მხარეები ცდილობენ მოწინააღმდეგის სრულ განადგურებასო!

ოღონდ მას მხოლოდ ხელისუფლება არ უგულისხმია, როგორც ზოგიერთებს სურთ კომფორტულად. მილიორიმ მთელი ქართული პოლიტიკური კლასი გააკრიტიკა, რადგან თუ ლენინიზმია პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა „მუმიებად“ გამოცხადება, არანაკლები ლენინიზმია თეზისი „შუა უნდა გაიკრიფოს!“.

მილიორი სწორედ ამ აზრს დებდა „ლენინიზმში“, თორემ ძალიან კარგად იცის, რომ „მუშათა არმიები“ ჩვენში არ არსებობენ და არც კომუნიზმის აშენებას აპირებს ვინმე. „ლენინიმიზი“ აზროვნების სტილი და პოლიტიკური ბრძოლის მეთოდია; ქართველები კი მუდმივად ვუმტკიცებთ მსოფლიოს მოსკოვის მავზოლეუმში დაცული მუმიის იდეათა უკვდავებას.

**ნიკა იმნაიშვილი,**
**„ჯი-ეიჩ-ენი“**

### ხედვა ევროპიდან

# კვლავ სახიფათო გარემო...

**Le Monde-ის შეფასებით, „არანაირი გარანტია არ არის, რომ ქართული დემოკრატია ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილებისთვის საკმარისად მომწიფდა“.**

**ამის შესახებ ჟურნალისტი ბენუა ვიტკინი წერს სტატიაში „ქართული ოპოზიცია, რომელსაც ხელისუფლება ავიწროვებს“.**

სტატიის ავტორის აზრით, „ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ხელისუფლება „ქართული ოცნებისთვის“ საარსებო წყაროს გადაკეტვას ცდილობს, თუმცა ოპოზიციის ლიდერს გაკოტრება არ ემუქრება, რადგან ბიძინა ივანიშვილის ქონება, Forbes-ის შეფასებით, 5 მილიარდ ევროზე მეტია“.

„მაგრამ ამ უზარმაზარი რესურსების პოლიტიკური ამბიციებისთვის გამოყენება, როგორც ჩანს, ივანიშვილს პრობლემად ექცა. ფინანსური ბრძოლის ბოლო ეპიზოდი, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი მისი ყველაზე სერიოზული მეტოქის წინააღმდეგ აწარმოებს, 17 აგვისტოთი თარიღდება. სახელმწიფო სამსახურებმა ივანიშვილის კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანებული პარტიების საბანკო ანგარიშების დაყადაღება დაიწყეს. ივნისიდან, კოალიციის ორ მთავარ ლიდერს — ბიძინა ივანიშვილს და ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელ კახი კალაძეს, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ბრალდებით ათობით მილიონი ევროს ჯარიმები დააკისრეს. მიზეზი, მილიარდერის საბანკო ანგარიშებიდან კოალიციაში შემავალი პარტიების ანგარიშებზე თანხების გადარიცხვაა, ასევე ათასობით ქართული ოჯახისთვის თანამგზავრული თეფშების დარიგება და კოალიციის წევრებისთვის საავტომობილო მომსახურების შეღავათიან ფასებში გაწევა“, — წერს Le Monde.

გამოცემა აღნიშნავს, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას მის წინააღმდეგ „საბჭოთა მეთოდების“ გამოყენებაში ადანაშაულებს და იმუქრება, რომ ასეთ პირობებში 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს არ აღიარებს. ამასთან, ივლისის დასაწყისში ევროკავშირმა „შეშფოთება“ გამოთქვა იმის გამო, რომ ხელისუფლება კანონს „ცალმხრივად“ იყენებს და საარჩევნო პროცესში ივანიშვილის „მონაწილეობის შეზღუდვას ცდილობს“. თბილისის ერთგულმა მოკავშირემ, შეერთებულმა შტატებმაც გააკეთა განცხადება, რომ ის ყურადღებით „დააკვირდება“ არჩევნების მიმდინარეობას.




LE MONDE-ის შეფასებით, „არანაირი გარანტია არ არის, რომ ქართული დემოკრატია ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილებისთვის მომწიფდა“

„თითქოს ამაში არაფერია განსაკუთრებული ქვეყნისთვის, რომელიც მუდმივ საარჩევნო დავებსა და ხალხმრავალ მანიფესტაციებს არის მიჩვეული, მაგრამ ის თუ რა მოხდება შემოდგომაზე, ძალიან გაურკვეველია. საქმე ის არის, შეძლებს თუ არა საქართველო მისი პოლიტიკური სისტემის მოწიფულობის დამტკიცებას. თუკი სააკაშვილის 9-წლიანმა მმართველობამ რეგიონში უპრეცედენტო გამჭვირვალობა და ლიბერალიზაცია მოიტანა, ჯერჯერობით მაინც არანაირი გარანტია იმისა, რომ ქართული დემოკრატია საკმარისად მომწიფდა ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილებისთვის, არ არის. ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ თავად სააკაშვილის მომავალი გაურკვეველია. პრეზიდენტს 2013 წელს მესამე ვადით კენჭისყრის უფლება არ აქვს, მაგრამ საეჭვოა, რომ იგი სცენიდან საბოლოოდ წავა. გარდა ამისა, მაშინ როდესაც რუსეთთან 2008 წლის ომის ტრამვა კვლავ ქართული პოლიტიკის საფუძველია, არსებობს საფრთხე, რომ სამართლებრივი კამპანიის კლიმატს ის სამხედრო მანევრები დაარღვევს, რომელსაც მოსკოვი კავკასიაში სექტემბერში გეგმავს. მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, რომელიც მხარეებს საზოგადოებრივი კვლევების თანახმად აქვთ, როგორც ჩანს, სააკაშვილს სიმშვიდის საფუძველს არ აძლევს. აქამდე პრეზიდენტს, რომელსაც მუდმივად ავტორიტარულ მიდრეკილებებში ადანაშაულებდნენ, საქმე სუსტ და დანაწევრებულ ოპოზიციასთან ჰქონდა. ივანიშვილის გამოჩენით სიტუაცია შეიცვალა. ახლახანს მან საკუთარი სტრატეგიაც გამოაქვეყნა, სადაც პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარება და უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლაა, რომელიც მოსახლეობის 30 პროცენტს მოიცავს. ხელისუფლება, რომელიც თავდაპირველად ივანიშვილის დისკრედიტაციით კმაყოფილდებოდა, მას მოსკოვის ინტერესების გამტარებელ ოლიგარქად წარმოაჩენდა და მოქალაქეობაც კი ჩამოართვა, იძულებული გახდა მისთვის მიებაძა. შუა ზაფხულში, თბილისმა მასობრივი სოციალური პროგრამის ამოქმედების შესახებ განაცხადა“, — წერს გამოცემა და თუმცა დასძენს, რომ „გარემო კვლავ სახიფათოა“ და პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოწინააღმდეგის „პოსტსაარჩევნო განზრახვებზე“ ისაუბრა და აუდიტორიას „მტრის უწმინდური ხელებისგან“ თავდაცვისკენ მოუწოდა.

**ნინო ჩიჩუა**
**„პირველი“**

### ინფორმაცია

## „ქართული ოცნება“ ზუგდიდელებს 9 სექტემბერს შეხვდება

**კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გუშინ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას აქციის გამართვასთან დაკავშირებით განცხადებით მიმართა.**

**„ქართულ ოცნებას“ 9 სექტემბერს აქციის გამართვა ზუგდიდის მთავარ მოედანზე სურს. კოალიციის ზუგდიდის შტაბის ხელმძღვანელის მერაბ ქვარაიას განცხადებით, აქციისთვის შეირჩა ქალაქში ყველაზე დიდი მოედანი და 9 სექტემბერს ხალხთან შეხვედრას გეგმავენ კოალიციის ლიდერები, მათ შორის ბიძინა ივანიშვილი. მისი თქმით, გამგეობიდან პასუხს სამი დღის ვადაში ელოდებიან.**

**ზუგდიდამდე, 2 სექტემბერს, „ქართული ოცნება“ აქციას თელავში გამართავს.**

## „ნაციონალური მოძრაობა“ აქტიურობს

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 1 სექტემბერს თბილისში და საქართველოს 11 ქალაქში ყრილობას გამართავს. როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ პრესსპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა განაცხადა, მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ ქალაქში, საარჩევნო ყრილობაში მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი რეგიონის პარტიის შტაბის წევრებმა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებმა.**

## დარჩიაშვილი მინდელმა შეცვალა

**რუსთავს ახალი მერი ჰყავს. ზაქარია დარჩიაშვილის ნაცვლად დეპუტატი ლაშა მინდელი დაინიშნა. ლაშა მინდელი ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ ქალაქის საკრებულოსა და მერიის სამსახურების წინაშე ოფიციალურად წარადგინა.**

**როგორც დავით კირკიტაძემ განაცხადა, რუსთავის ყოფილი მერი ზაქარია დარჩიაშვილი გუბერნატორის პირველი მოადგილის პოსტს დაიკავებს. ის ამ თანამდებობაზე რუსთავის მერად დანიშვნამდე მუშაობდა.**

**რაც შეეხება ლაშა მინდელს, მას 1999-2001 წლებში რუსთავის მერის თანამდებობა ეკავა. 2001-2002 წლებში რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე იყო, 2004-2008 წლებში — საქართველოს პარლამენტის წევრი, 2008 წლიდან კი „ნაციონალური მოძრაობიდან“ ასევე პარლამენტის დეპუტატია.**

## „ლეიბორისტების“ მტკიცებით...

**„ლეიბორისტების“ მტკიცებით, 26 აგვისტოს ცაგერში, „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა და პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ არჩევნების გაყალბების შეთანხმების ნიშნად, ერთმანეთს ხელი ეკლესიაში ჩამოართვეს.**

**როგორც „ლეიბორისტული პარტიის“ იდეოლოგიურმა მდივანმა კახაბერ ძაგანიამ განაცხადა, პოლიტიკური შეთანხმებები ეკლესიაში არ უნდა წყდებოდეს.**

**„ნაცებმა“ და „ოცნებამ“ განვლილი შაბათ-კვირა გამოიყენეს საარჩევნო კომისიებში ძალაუფლების გადასანაწილებლად, რის შედეგადაც „ოცნებამ“ რამდენიმე ათეული კომისიის მდივანი „დაითრია“, რა თქმა უნდა, სხვა სატელიტ პარტიებთან ერთად. ყველაფერი კი გუშინ ივანიშვილმა და ბაქრაძემ ცაგერში, წმიდა მაქსიმეს ტაძარში ხელის ძმური ჩამორთმევით აღნიშნეს. აი, ეს იქნება ხვალინდელი დღე, ასე გადაინაწილებენ თქვენს მიცემულ ხმებსაც. ერთი თხოვნა გვექნება, ბინძური გარიგებისა და შეხვედრებისთვის ეკლესიას მაინც დაანებონ თავი, — განაცხადა კახაბერ ძაგანიამ.**

ინტერპრესნიუსი

# ზუგდიდელებო, მეგრელებო! – ნუ ეძებთ სწორ გზებს სიბნელესა და შიშში, მოიკრიბეთ ძალები და მხარში ამოუდექით ერთმანეთს! ვინც მხარს უჭერს სიკეთეს – ის თავის თავს აძლიერებს! გაერთიანდეთ!

42



# ვლადიმერ ვახანია

## „მომავლის არჩევანი“

ზუგდიდის მაჟორიტაროზის კანდიდატი

### ჩემო ძვირფასო ხალხო!

განსაცდელის ჟამის დასრულებამდე დამრჩა რამდენიმე დღე და ბედისწერამ ინება, რომ გავმხდარიყავი თქვენი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი საქართველოს პარლამენტში ჩემს მშობლიურ კუთხეში.

სრულიად უდანაშაულოდ სამწელიწადნახევარი უკანონოდ გავატარე სააკაშვილ-ახალაიას ციხეში და რატომ? მარტო იმიტომ რომ თქვენამდე არ მიმეტანა ჩემი სიტყვა, იმიტომ რომ არ მეთქვა ჯალათების დანაშაულზე, იმიტომ რომ სიკეთე არ გამეკეთებინა თქვენთვის. შიშით გაზერილმა სააკაშვილ-ახალაიამ მომაშორეს საზოგადოებას, ზუგდიდს და ზუგდიდელებს, მაგრამ ამაოდ, ტყუილად გაისარჯნენ.

მე ვარ ისეთივე, ვერაფერი შეარყევს ჩემს სწრაფვას და სულისკვეთებას მთლიანი საქართველოს აღსადგენად და თავისუფალი საზოგადოების ანუ თითოეული ადამიანის (მოქალაქისძ თავისუფალი ყოფადობის მისაღწევად.

ნურავის ჰგონია, რომ მე ვინმე შემაჩერებს ეროვნული მიზნების განსამტკიცებლად და ჩემს გასავლელ გზაზე ნურავინ გადამეღობება. ცარიელი სიტყვების რახა-რუხი მორჩა. დროა, დავძლიოთ ყოველგვარი შიში, მტკიცედ დავდგეთ ერთად და ქვეყანას მოვაშოროთ მოდებული ბნელეთი.

ნუთუ ვერ ხედავთ თქვენ, რომ დღევანდელი ხელისუფლება ყოველდღიურად თესავს ჭუჭყს, სიცრუეს, შუღლს, სიძულვილს თავისი სკამების შესანარჩუნებლად და ცხოველური ჟინის დასაკმაყოფილებლად.

**რა არის დღევანდელ უთანასწორო ბრძოლაში ჩვენი გამარჯვების საწინდარი? მხოლოდ სიმართლე და ერთობა, ღმერთი და რწმენა!**



ვლადიმერ ვახანია ცოლ-შვილთან (მეუღლე მეგი რეხვიაშვილი და ქალიშვილი სალომე).

### ზუგდიდელებო! მეგრელებო!

**ნუ ეძებთ სწორ გზებს სიბნელესა და შიშში. მოიკრიბეთ ძალები და მხარში ამოუდექით ერთმანეთს! ვინც მხარს უჭერს სიკეთეს — ის თავის თავს აძლიერებს!**

გაერთიანდეთ!

მე შეგმატებთ და მოგახმართ თქვენ ჩემს ცოდნას და გამოცდილებას თქვენი უფლებების დასაცავად და ყოფითი პრობლემების დასაძლევად. არც ერთი ოჯახი ყოველდღიურად არ უნდა ილვიძებდეს ფიქრში — თუ სად იშოვოს ლუკმა-პური. საერთოდ კი, საქართველოში მცხოვრები ყოველი ადამიანი (მოქალაქეძ დამონებული მდგომარეობიდან უნდა განთავისუფლდეს. ჩვენი მიწა-წყლის შვილები უკეთეს ხვედრს იმსახურებენ, ხოლო სახელმწიფო პოლიტიკა ხალხის კეთილდღეობის ზრუნვაზე უნდა იქნას აგებული.

ჩემი, როგორც პარლამენტარის მოღვაწეობა დაეთმობა ზუსტად ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომლის ძირითადი ამოცანა იქნება ზრუნვა ხალხის კეთილდღეობაზე. მერწმუნეთ და მენდეთ — მე ეს ძალმიძს, მე ამას გავაკეთებ და ბოლომდე დავიხარჯები.

### ჩემო ღირსეულო მამულიშვილნო, თანაქალაქელნო!

ძველებურად ჟღერადი მაცდური დაპირებებით ქვეყნის შენება ვის გაუგია? მოსახლეობის გაბითურების ეს მრავალწლიანი ნაცადი ხერხი უნდა დასრულდეს და ადგილი დაიკავოს ჭეშმარიტმა საქმემ. დღეს ჩვენს ხელშია არჩევანი!

### ჭეშმარიტება ყველაფერზე იმარჯვებს!

**აბა შარა — აბა ულა!**

ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი,
სამართლის დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, პარტია
„მთლიანი საქართველოს“ ლიდერი, პოლიტპატიმარი
**ვლადიმერ ვახანია**

# საჩხერული არდადეგები

## ანუ, ახლა როცა ამ სტრიქონს ვწერ, საჩხერეშიც „მაგრად ბნელა“...



**ბნელა ისევე, როგორც დანარჩენი საქართველოს უმეტეს ნაწილში, სადაც „არსაიდან ხმა, არსით ძახილის“ ნაციდილიას მხოლოდ მიშავიზიების ტელე-არხები თუ რადიოსადგურები არღვევენ ხმაშეწყობილად.**

ერთი სიტყვით, მცირე ხნით მოვახერხე თბილისური ხვატისთვის თავის გარიდება და საჩხერის რაიონის ლამაზ სოფელ ბჟინევის გრილოში თავშეფარება. სოფელში, საიდანაც სულ რაღაც 2-3 კილომეტრია ბიძინა ივანიშვილის მშობლიურ ჭორვილამდე, ანუ მიშნაცების უეცარი თავისტკივილის, პოლიტიკური შაკიკის სათავემდე.

**მიუხედავად საჩხერის სრული ინფორმაციული ვაკუუმის, გნებავთ მიშავიზიების დეზინფორმაციული ბუმისა, ერთი რამ ცხადია — ნაცებს, ბიძინას მშობლიურ რაიონში არანაირი შანსი არა აქვთ 1 ოქტომბერს!!!**

**თუმცა, ადგილობრივები იმასაც შიშობენ, რომ თუ ღმერთი გაწყრა და ოქტომბრის არჩევნების შემდეგაც, ნაცებმა მაინც მოახერხეს ქვეყნის მაშტაბით ხელისუფლებაში დომინანტობის შენარჩუნება, როგორც იტყვიან — „დედა აღარ გვეყოლებაო“, საჩხერლებს...**

ეს ისე, ცნობისათვის — სულ მალე გამოჩნდება, „დედა ვის აღარ ეყოლება“ და ვინ, დედასთან ერთად მამასაც მოისაკლისებს და არა მხოლოდ აკაკის სამშობლოში, არამედ დანარჩენ საქართველოშიც და ახლა იმაზე, თუ რა გახდა წინამდებარე წერილის შექმნის მიზეზ-საბაბი.

გადაწყვეტილი კი მქონდა, რომ მართლაც დამესვენა ყოველგვარი ინფორმაციისგან ამ ვაკუუმში და მით უმეტეს დეზინფორმაციისთვის არ მესმინა, მაგრამ მეზობლად შიგადაშიგ გადასულს, მაინც მწვდებოდა „რუსთავი-2“-ის თუ „იმედის“ საამო ჰანგები:

ტელე-მაესტროს თბილისის სათაო ოფისის შეფმა, ქუთაისში 17 აგვისტოს ბაგრატის ტაძრის გახსნის და მის გუმბათზე „ჯვართამაღლების“, მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში გაშუქება მიბრძანაო — თქვა ქუთათურმა ჟურნალისტმა, რასაც ამ უკანასკნელის დემარში მოჰყვა სოლიდურ ანაზღაურებადი სამსახურის დატოვების სახით. რის პასუხადაც თბილისიდან — ეგ ქალბატონი ადრე არაერთხელ ყოფილაო სიმთვრალეში შემჩნეული სამუშაო საათებშიო...

არ ვიცი. ნამდვილად არ ვაპირებ არც ერთის ადვოკატობას, მაგრამ სულო ცოდვილო, ქალბატონი ჟურნალისტი რომ ვიზუალურად ნამდვილად წააგავდა „გოგისვანიძეების“ რესტორნის ხშირ კლიენტ დედაკაცს, ესეც ფაქტია. ეგეც არ იყოს, მორიგი პიარკამპანიის ნეგატიურ კონტექსტში გაშუქებას, რა ზემოდან ბრძანება და მითითება უნდა, ნეგატიური მომენტები ზედაპირზევე არ იდო, რასაც მხოლოდ ჩამოთვლა უნდოდა?

ინებეთ რამდენიც გნებავთ, ვინძლო სათვალავი არ აგვერიოს...

ბაგრატის ტაძრის ერთი კაცის ახირებით დანაშაულებრივი „რესტავრაციის“ გამო, რომ ეს ძეგლი პრაქტიკულად ამოვარდა იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიიდან და ამ სამწუხარო ფაქტის ფორმალიზებას ახლო მომავალში ვიხილავთ, ნეგატივი არ არის?

თუ ის არის პოზიტივი, რომ განდიდების იდეა-ფიქსით დაავადებული პრეზიდენტი, დავით აღმაშენებლობას აღარ სჯერდება (ვისაც თავადაც ხშირად ედრება ხოლმე და რაზედაც კვერს უკრავს მისი მამობილი მეუფე კალისტრატეძ და ბაგრატის ტაძრის გახსნაზე განაცხადა — საქართველოში ოქროს ხანა დაიწყოო!

ცნობილი ფაქტია, რომ ოქროს ხანა საქართველოში დავით აღმაშენებლის ეპოქას კი არ ეწოდა, მიუხედავად დავით მეოთხე აღმაშენებლის უდიდესი ღვაწლისა, არამედ თამარის ზეობის ჟამს, როდესაც შედგა ქართველი ერის მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული რენესანსი...

**რა თქმა უნდა „ბაგრატობა“ ისე ვერ ჩაივლიდა რომ მიშას რუსებისთვის არ ეკბინა და — ბაგრატის ტაძარი რუსეთმა დაანგრია XIX საუკუნეშიო (!!!), ხელდახელ გადაწერა ისტორია...**

**რა ქნას აბა, რუსების ბრალია ყველაფერი რაც ავი გვჭირს; მერე რა რომ ბაგრატის დიდებული ტაძარი ლამის ბალავრიანად დაანგრიეს დაახლოებით 350 წლის წინათ, როდესაც ერთმორწმუნე რუსეთის ჭაჭანებაც არ იყო კავკასიაში და იცით ვინ? დღეს ჩვენმა „სტრატეგიულმა პარტნიორმა“ და იმჟამად ჩვენმა დაუძინებელმა მტერმა, ქართველთა სისხლით ვერ გამძღარმა, თურქეთმა!!!**

ეს იმ დონის სიცრუე იყო, რომ შემდგომ საინფორმაციოებში აღარ გაუშვეს მიშავიზიებში არსებულმა „პრეზიდენტის სისულელეების გამომსწორებელმა სამსახურებმა“...

იქნებ არც ის გახლავთ ნეგატივი, რომ ამ ყველაფერს იაფფასიანი წინასაარჩევნო პიარის მძაფრი სუნი ასდიოდა?

ბაგრატის ტაძრით ახირების სენი დიდი ხანია შეეყარა ჩვენს პრეზიდენტს, მაგრამ განსაკუთრებული აქტუალობა ამ „პროექტმა“ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ შეიძინა — რით, თუ არა ბაგრატის ტაძრის აშენებით უნდა „მოეჯოკრა“ სამების აღმშენებელ ბიძინასთვის?

ამიტომაც არაფერს დაერიდნენ, არც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობა ილია მეორეს, არც სპეციალისტთა აზრი გაითვალისწინეს, მით უმეტეს საზოგადოებრივი აზრი „დაიკიდეს“ და პარლამენტის შენობისა არ იყოს, ბაგრატის ტაძარიც წინასაარჩევნოდ „მოასწრეს“, როგორც გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო!?

მერე რა რომ თავად ბაგრატ III, იმ ტაძრის ერთადერთი აღმშენებელი, დღეს დაშლილ-დანაწევრებული საქართველოს, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ბედიის მონასტერში განისვენებს, მთავარი ხომ სიმბოლოებია?

აბა, ბაგრატ მესამესა და სხვა, ჩვენს დიდ გვირგვინოსნებს მიშნაცების ჭკუა ვინ მისცათ თორემ, ისინი გონებითა თუ მკლავით პირველ რიგში სახელმწიფოებრიობის განმაპიროვნებელ, შინაარსობრივ საფუძვლებზე კი არ იზრუნებდნენ, არამედ ნაცებივით ცარიელი, უძალო სიმბოლიკებით: დროშით, გერბით თუ ჰიმნით „დააზოლებდნენ“ თანამედროვეთ...

**და ყველაზე მთავარი — ალბათ შეატყვეთ, რომ ზემოთ ბაგრატის ტაძრის გახსნა ვახსენე და არა კურთხევა, რადგანაც მართლაც ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ ქუთაისში მორიგი ობიექტი იხსნებოდა და ჰა და ჰა, მეუფე კალისტრატეს და მისი შვილობილის საყვარელი წითელი ლენტისა და მაკრატლის გამოჩენასაც ველოდი. ამჯერად ამ სირცხვილს კი გადავრჩით, მაგრამ „სამაგიეროდ“ არსად ჩანდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და აბა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობლის გარეშე, ბაგრატის ტაძრის კურთხევა გაგონილა?**

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ჩვენმა პრეზიდენტმა მორიგი კაპრიზი აისრულა. კაპრიზი, რის გამოც, ვიმეორებ ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუში სამუდამოდ ამოიშალა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან!!!



რა სულელები არიან იტალიელები, ბერძნები, ან ეგვიპტელები, არა? მართალია, ჩამოთვლილ ხალხებს ძველ ლათინებთან, ელინებთან თუ ფარაონებთან დღეს ცოტა რამ აკავშირებთ, მაგრამ ჩვენს მსგავსად მათაც ხომ შეეძლოთ, მაგალითად რომში, არმირებულ რკინაბეტონით კოლიზეუმი პირვანდელი სახით აღედგინათ, ან პიზის დახრილი კოშკი „წელში გაესწორებინათ“?

ან, რა პრობლემაა ბერძნებისთვის აკროპოლისის აღდგენა, უწესრიგოდ რომ მიუყრიათ ძველთაძველი მარმარილოს სვეტები თუ ჩუქურთმები?

ან, თუ ეგვიპტელები პირამიდების „შტუკატურკას“ ვერ ქაჩავენ, რა გახდა, რომ მდუმარე სფინქსის მომტვრეული ცხვირი „ალიბასტრით“ მაინც აღადგინონ?

* * *

ბაგრატის ტაძრის გახსნის შთაბეჭდილებებიდან გამოსვლაც არ დამცალდა, რომ მეორე დღეს, ამჯერად სამტრედიიდან მომესმა ჩვენი პრეზიდენტის ისტერიული ყვირილი — საკუთარ კარში გოლების გამტანები არიან დარაზმულები საქართველოს ამოსაგდებადო!

ქართული ოცნების და პირადად კახი კალაძის ბოსტანში დაიწყო ქვების სროლა ჩვენმა მიშიკომ...

ეს ისეთი დონის „დიშოვკა“ სვლა იყო, რომ სააკაშვილისგანაც კი არ მოველოდი — საკუთარ კარში გოლები კახაზე უფრო დიდ ფეხბურთელებსაც გაუტანიათ, რადგანაც, როგორც იტყვიან „ბურთი მრგვალია“ და ყველაფერი ხდება.

**სამაგიეროდ, ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორ გააპიარა სათავისოდ 2002 წლის საქართველო-რუსეთის ისტორიული საფეხბურთო ჯახი, მაშინდელმა საკრებულოს თავმჯდომარემ მიშა სააკაშვილმა. ანუ, მატჩის შემდეგ, როგორ იდგა საკუთარი კაბინეტის პატარა აივანზე, რომელიც ხალხით გადაჭედილ თავისუფლების მოედანს გადაჰყურებდა, დღეს „საკუთარ კარებში გოლების გამტან“და მაშინ იმ გამარჯვების მთავარ შემოქმედ კახი კალაძესთან ერთად „ჩახუტებული“...**

ამიტომაც ვუწოდე ზემოთ სამტრედიის ისტერიკას „დიშოვკა“!!!

თუმცა, არც ის დაგვვიწყებია, რომ პირველად შავმა კატამ მაშინ გაირბინა დიდ ფეხბურთელსა და მაღალ, მაგრამ სამწუხაროდ პატარა პრეზიდენტს შორის, როდესაც კახიმ პირდაპირ ეთერში უხერხული კითხვა დაუსვა სანდრო გირგვლიანის შესახებ. ხოლო მათ შორის ხიდები მაშინ დაიწვა სამუდამოდ, როდესაც კახი კალაძემ საკუთარ ფეხბურთელობაზე უფრო დიდი კაცობა გამოავლინა და გიორგი დემეტრაძე უშიშრად დაიცვა!

სხვათა შორის, ერთადერთმა (!?ძ „დემეს“ თაობის ფეხბურთელთაგან...

**დავით მხეიძე**

**P. S. ჩემი საჩხერული არდადეგების იდილია კიდევ ერთხელ დამირღვიეს მიშავიზიებმა.**

**გახსოვთ, ალბათ, როცა რუსეთის პრეზიდენტი ისევ ვლადიმერ პუტინი გახდა, თუ როგორ შეიჭრა ე.წ. პანკ-ჯგუფის, PUSSY RIOT-ის სამი „პროსტიტუტკა“ ლაწირაკი მოსკოვის მაცხოვრის ტაძრის საკურთხეველში. სადაც, მათივე თქმით, „მუსიკის“ ფონზე პანკ-ლოცვა აღავლინეს — „ღვთისმშობელო, მოგვაშორე პუტინი“...**

**რბილად თუ ვიტყვით, ამ აშკარა მკრეხელობის, სინამდვილეში კი რუსული მართლმადიდებლური ტაძრის წაბილწვის გამო, PUSSY RIOT-ის წევრები „ვირის აბანოში“ მიაბრძანეს და სწორედ ჩემი საჩხერული არდადეგების ბოლოს, 7-თვიანი წინასწარი პატიმრობის შემდეგ, ორ-ორი წელი „მიარჭვეს“.**



**აშკარად დასავლეთიდან დაფინანსებულ, რუსული მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ აქციას, რა თქმა უნდა, იმავე დასავლეთში გამოუჩნდნენ დამცველები და არა მხოლოდ ე.წ. უფლებადამცველი ენჯეოების სახით, რომლებიც ამ „აშარმოშკების“ უპირობო განთავისუფლებას ითხოვდნენ და რომლებმაც სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ გამოტანილი ვერდიქტი უწოდეს სასამართლოს განაჩენს — ამ პროსტიტუტკების ბედით თვით ინგლისის პრემიერმა გამოთქვა დაინტერესება პუტინის ვიზიტისას ლონდონში. ხოლო უკვე განაჩენის გამოტანის შემდეგ გერმანიის საგარეო მინისტრმა, როგორც ამბობენ, თავადაც ცნობილმა პედერასტმა, გვიდო ვესტერველემ სამარცხვინო სპექტაკლი უწოდა ამ ყველაფერს!**

**ასეა, ეკლესიის წამბილწველთა „გასროკვა“ სამარცხვინო სპექტაკლია, ხოლო 21-ე საუკუნეში, საქართველოში თეფშებზე ნადირობაზე ხმას არ იღებენ, ანუ მართლაც სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ აქციაზე და სამი მეძავის დასაცავად მთელი „განათლებული“ დასავლეთი აიფოფრა!!!**

**უნდა გენახათ, ეს ამბები, როგორი ვაი-ვიშით გააშუქეს იმ დღეს პირველ ნიუსად გასულ 10-15-წუთიან სიუჟეტებში მიშავიზიებმა.**

**თუმცა, ეს თემა აშკარად ვერ ეტევა P.S.-ის ფორმატში და თუ ღმერთმა ინება, უახლოეს მომავალში შევთავაზებ მკითხველს ამ თემის ვრცელ ანალიზს — მსოფლიო ლიბერასტების მიერ ზოგადად მართლმადიდებელი რელიგიის წინააღმდეგ მიმართული პერმანენტული შეტევების და, აქედან გამომდინარე, შესაძლო რუსულ-ქართული პარალელების შესახებ...**

**დ. მ.**

ტრიბუნა

# „პეპლებს თუ ვერ დავხოცავთ, ხალხს მაინც ხომ შევაშინებთ!“

**წლევანდელ საპარლამენტო არჩევნებამდე, რომლებმაც, საყოველთაო აზრით, საქართველოში ბევრი რამ „თავის ადგილზე“ უნდა დაალაგოს და ბოლო დროს დაგროვილ კითხვებზე პასუხები უნდა გაგვცეს, ერთ თვეზე ოდნავ მეტი დრო დარჩა, რაც მოვლენათა ტემპერატურას დღითი დღე მაღლა სწევს. უმთავრესი, რაც ამ დღეებში ხდება, ალბათ, დედაქალაქის რაიონებსა და მხარეებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენა და ხალხთან შეხვედრებია, რასაც ხშირად გარკვეული მოულოდნელობები ახლავს — მხედველობაში გვაქვს რომ თავად მოვლენათა ხშირად გაუთვალისწინებელი სცენარებით განვითარება, ასევე თავად დეპუტატობის კანდიდატთა ვინაობა.**



**ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ მაჟორიტარობის დეპუტატობის კანდიდატთა შორის ერთი გამორჩეული კაცია „ქართული ოცნების“ კოალიციის მიერ წალენჯიხის რაიონში წამოყენებული გიორგი ნაჭყებია, რომლის მხარეში მოსახლეობასთან შეხვედრას დიდი სკანდალი და მოულოდნელობა ახლდა, რამაც საზოგადოებაში მასშტაბური რეზონანსი გამოიწვია და მედიასაშუალებათა ყურადღების ფოკუსში მოექცა. ორიოდე დღის წინათ ბატონი გიორგი ნაჭყებია თავად გვესტუმრა რედაქციაში და საკუთარ თავსა და იმ ინციდენტის შესახებ მოჰყვა, რომელიც სოფელ ჯგალში მოხდა.**

— თავდაპირველად ორიოდე სიტყვას საკუთარ თავზე მოგახსენებთ, ასე ვთქვათ, მკითხველთა წინაშე წარვსდგები, რათა კაცმა იცოდეს, თუ ვინ ვარ, რას წარმოვადგენ, — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი ბატონმა გიორგი ნაჭყებიამ. — ჩემი პირველი სპეციალობაა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, რა პროფილითაც სამი წელი ენგურჰესზე ვიმუშავე. მეორე სპეციალობით კი იურისტი გახლავართ, 1999-2005 წლებში თბილისის ისანი-სამგორის რაიონის მოსამართლე გახლდით.

სიმართლე გითხრათ, სამეგრელოში „ქართული ოცნების“ მხრიდან ჩემი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წამოყენება სრული მოულოდნელობა იყო.

წინასაარჩევნო კამპანია 15 აგვისტოს დავიწყე და სადღეისოდ უკვე დაახლოებით რაიონის ოცზე მეტი ზონა მოვიარე, რათა ხალხის წინაშე მდგარი პრობლემები ადგილზე გამეცნო. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ შეხვედრები ძალიან კარგად, გულთბილ ვითარებასა და გულახდილი საუბრის თანხლებით მიმდინარეობს, მაგრამ აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ **პირველსავე შეხვედრიდან მოყოლებული დაიწყო ადგილობრივი ადმინისტრაციების მხრიდან მათი ჩაშლის მცდელობები.** წარმოიდგინეთ ვითარება — შეკრებილი ხალხი გულისყურით გისმენს და ამ დროს მცირერიცხოვანი ჯგუფები — ძირითადად ორ-სამი კაცის შემადგენლობით — ყველანაირად ცდილობს მოსახლეობასთან კონსტრუქციული დიალგის ჩაშლას! მესმის, რომ ნებისმიერ მოქალაქეს შეიძლება განსხვავებული აზრი ჰქონდეს, მაგრამ ყველაფერი ხომ საზოგადოებაში მიღებულ ქცევის ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული?

ბატონ გიორგი ნაჭყებიას თქმით, ყველა პროვოკაციულ შეკითხვას თუ წამოძახილს იგი თავადვე სცემს პასუხს და ამით ადგილობრივი ადმინისტრაციის წევრთა, მათ ახლობელ-ნათესავთა თუ უბრალოდ ძომაგთა გამოხდომების ნეიტრალიზებას ცდილობს. შედეგად, მეტად საგულისხმო და ერთგვარად კომიკური ვითარება იქმნება: **როცა კი „ქართული ოცნების“ ადგილობრივი მოწინააღმდეგენი თუ არაკეთილმოსურნენი მიღებულ დავალებას შეასრულებენ, გარიყულებივით განზე მიდგებიან ხოლმე და თავად ისმენენ იმას, თუ რას ლაპარაკობს ხალხი.**

— ისეთი კურიოზიც კი მომხდარა, რომ ასეთი „მოწინააღმდეგენი“ შეხვედრის შემდეგ ჩემთან მოსულან, გადამხვევიან, წარმატება უსურვებიათ და დავულოცივარ კიდეც, — სიცილით ამბობს ბატონი გიორგი. — თუმცა, ყველაზე აგრესიული შემოტევა წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯის ერთ-ერთ უბანში რამდენიმე დღის წინათ მოხდა, რომელსაც ჯალირა ეწოდება. როცა სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრა ჩავატარეთ, ჩემთან ერთად წალენჯიხის ყოფილი, აწ განსვენებული გამგებლის მამა იყო, რომელმაც გულწრფელად ილაპარაკა ხელისუფლების არასწორ პოლიტიკაზე, რასაც, ფაქტობრივად, მთელმა სოფელმა დაუჭირა მხარი. როცა შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, გამოჩნდა იქაური ქალბატონი ვინმე მედეა ზარანდია, რომელმაც აქტიურად დაიწყო შეკრებილ ხალხში უწესრიგობა და აყალმაყალი. ამას აჰყვა სოფლის რწმუნებული ვინმე მესხია და, რომელმაც, როგორც მითხრეს, იქ ხელიც კი გაარტყა ვილაცას. ყოველივე ჩაწერილია ვიდეოზე, თუმცა კი, ჩვენ პროვოკაციებს არ ვეგებით და ამიტომაც არის, რომ მცდელობების მიუხედავად, ვერც ერთი შეხვედრის ჩაშლა ვერ შეძლეს.




მსგავსი შემთხვევები ბევრ სოფელში მოხდა. თუმცა, კი, ვერც ერთი შეხვედრის ჩაშლა ვერ შეძლეს. ასეთივე სერიოზული ინციდენტი სოფელ ჭალიშში მოხდა, მაგრამ ყველაზე სასიამოვნო აღსანიშნავია, რომ ყველგან ასეთ „მოწინააღმდეგე-მოქიშპეებს“ ისევ ადგილობრივი მოსახლეობა თავადვე აშოშმინებს.

ბატონ ნაჭყებიას თქმით, ვითარება წალენჯიხის რაიონში ისეთია, რომ იქაურ სოფლებში ინფორმაციის ძალიან დიდი ვაკუუმია. **თუ ვინმეს სატელევიზიო ანტენა ადრე არ ჰქონდა დაყენებული, ხალხს ახალ ამბებზე ხელი ნაკლებად თუ მიუწვდება.** მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბევრს შეხვედრაზე მისვლის შიში აქვს, მაგრამ, როგორც დეპუტატობის კანდიდატი ამბობს, ხალხი უთვლის, რომ „ქართულ ოცნებას“ უჭერს მხარს. **განსაკუთრებით ასეთი შიში მდინარე ენგურის გადაღმა სოფლებში იგრძნობა.** ვთქვათ, სოფელ ჯგალში, სადაც იმ დღეს, როცა „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატი და მისი მხარდამჭერები ავტომანქანიდან „შეწამლეს“, სოფელ ჯვარში იგი ადგილობრივ მოსახლეობას უნდა შეხვედროდა, მაგრამ აღნიშნული ინციდენტის გამო ეს შეხვედრა ვერ გაიმართა.

— ეს შეხვედრა იქნებ შემდგარიყო კიდეც, მაგრამ დამირეკეს და მითხრეს, რომ ადგილზე ძალიან სერიოზული მობილიზებაა ადგილობრივი „გოგო-ბიჭების“, რომლებიც აყალ-მაყალის ასატეხად სრულ მზადყოფნაში არიანო, მაგრამ ჩვენ ჯვარში ჩასვლაზე უარი იმიტომ კი არ ვთქვით, რომ შეგვეშინდა, არამედ იმის გამო, რომ სოფელ ჯგალში მოგვწამლეს — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, — ამბობს ბატონი გიორგი ნაჭყებია. — მომხდარის ვანდალურ ხასიათზე თუნდაც ის გარემოება მოწმობს, რომ მაშინ, **როცა სათანადო სამსახური თეთრი პეპლის სალიკვიდაციო გეგმიურ მოწამვლებს აწარმოებს, სოფლის მთელ მოსახლეობას საგანგებოდ აფრთხილებენ, რათა თავი აარიდონ სახლიდან გარეთ გამოსვლას, ფანჯრები დახურონ, ჭებსა და ღია წყალს ხუფები დააფარონ, არ ჭამონ შეწამვლის ადგილებში მოკრეფილი ხილი, ბოსტნეული და, ა. შ., ანუ ფრთხილად იყვნენ და შხამქიმიკატს თავიც მოარიდონ და ოჯახის წევრებიც.** ამასთან, საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ შუა აგვისტოში ამ თეთრი პეპლის შეწამვლას აღარავითარი აზრი არ აქვს, რადგან ის უკვე კარგად მოყოჩაღებულია და გაზის „მიფუილება“ მას ბევრს ვერაფერს დააკლებს, თანაც მსგავსი შეწამვლა არც წინა დღეებში ყოფილა და ამის თაობაზე მოსახლეობა არც არავის გაუფრთხილებია. კიდევ, ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ვეტერინარიული სამსახურის ავტომანქანა, მოსახლეობასთან შეხვედრის ადგილს რომ მივუახლოვდით, სწორედ მაშინ აგვედევნა. მე იგი წინ გავუშვი. მანქანამ, მართალია, კი გამასწრო, მაგრამ იმ ადგილიდან, სადაც მოსახლეობას ვხვდებოდი, დაახლოებით 150 მეტრში გაჩერდა. მერე ვილაცამ დაიძახა „გვწამლავენ!“ და საშინელი სანახაობის მომსწრენი გავხდით: **ამ მანქანიდან 15-20 მეტრის დიამეტრის თეთრი ღრუბელი წამოვიდა დაახლოებით 8-10 მეტრის სიმაღლეზე და ხალხს მოედო. შემდეგ მანქანამ ხალხში ჩამოიარა, ყველანი კარგად „შეწამლა“ და გაუჩინარდა. ხალხს ცრემლები წამოუვიდა, ხველა აუტყდა, გულისრევა დაეწყო...**



მე მაშინვე დავუკავშირდი „ქართული ოცნების“ პრესსამსახურს და მომხდარიდან ძალიან მოკლე ხანში ეს ფაქტი უკვე ტელევიზიით გაშუქდა და დიდი საზოგადოებრივი რეზონანსიც მიიღო.

ცალკე მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად იმისა, ამის თაობაზე სიუჟეტი ტელევიზიაში ოპერატიულად გავიდა, ჩვენ ხელთ გვაქვს ამ ფაქტის ამსახველი გაცილებით უფრო ვრცელი დოკუმენტური მასალები, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენებთ კიდეც.

ყოველივე ამას ის ამბავი მოჰყვა, რომ მომხდარზე სასწრაფო რეაგირება მოხდა სახელმწიფო უწყებებიდან, რომლებმაც განაცხადეს, პროდუქციის უვნებლობის სამსახურს გეგმიური შეწამვლა ჰქონდა და რომ გაშვებული გაზი ადამიანის ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია და ა. შ.

ვფიქრობ, იმის შესახებ ლაპარაკი, რომ ამ „გეგმიურ შეწამვლას“ მიზნად არ ჰქონია „ქართული ოცნების“ კოალიციის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისთვის ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისთვის ხელის შეშლა, მტკნარი წყლის სიცრუეა, რომელსაც სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. აი, ასეთი და მსგავსი ხრიკებით ცდილობენ პოლიტიკური ოპონენტებისთვის წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებაში ხელის შეშლას, მაგრამ ხალხი, იმედია, სწორ არჩევანს სხვის „დაუხმარებლადაც“ შეძლებს.

**ოთარ ტურაბელიძე**

SIC!

# მოსყიდვა ბანკების მეშვეობით

**„ლიბერთი ბანკი“ იმ პენსიონერებს, რომლებმაც 1 ივნისიდან პენსია წინასწარ აიღეს, საპროცენტო გადასახადს უკან უბრუნებს.**

ეს ამბავი ბანკიდან ერთ-ერთმა ჩემმა მეზობელმა პენსიონერმა მოიტანა და იმდენად გახარებული იყო, რომ მისთვის კითხვის დასმას აზრიც არ ქონდა, თუ რატომ ჩუქნის ბანკი ამ ფულს. ამიტომაც, ამბის გასარკვევად „ლიბერთი ბანკის“ ერთ-ერთ ფილიალში მომიხდა მისვლა.

ბანკში კი მითხრეს, რომ ჩემი მოხუცი მეზობლის მიერ მოტანილი ამბავი სრული სიმართლე იყო და ბანკი მოვალე პენსიონერებს არა მარტო პროცენტს აღარ დაარიცხავს, არამედ გარკვეულ თანხასაც კი უკან უბრუნებს.

კითხვაზე, თუ რატომ აკეთებს ამას ბანკი, ამ ფილიალში პასუხი ვერ გამცეს და მხოლოდ ის მითხრეს, რომ ეს ბანკის საჩუქარია.

რა თქმა უნდა, ბანკს შეუძლია, რომ მოსახლეობას საჩუქრად რამდენიც უნდა, იმდენი დაურიგოს, მაგრამ, ცხადია, ძნელი წარმოსადგენია, რომ ბანკი ამას რაიმე მოგების გარეშე აკეთებდეს.



თუკი იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ აქამდე ოპოზიციის ნაწილი ლამის, აქციებსაც კი მართავდა იმის მოთხოვნით, რომ ბანკი პენსიონერებს ასეთ მაღალ პროცენტს ნუ ართმევდა პენსიის წინასწარ აღების გამო და ეს მოთხოვნა არასოდეს არ შესრულებულა, ადვილი მისახვედრია, რომ ეს მხოლოდ საარჩევნოდ კეთდება.

დღეს საქართველოში კომერციული ბანკები რომ ხელისუფლების ღია თუ ფარული მითითებებით მოქმედებენ, ისიც ადასტურებს, რომ ბანკებს დაყადაღებული აქვთ „ქართულ ოცნებაში“ შემავალი თუ მათთან ასოცირებული ადამიანების პირადი ანგარიშები სასამართლოს ყოველგვარი გადაწყვეტილების გარეშე.

ფაქტია, რომ ამას ბანკი მხოლოდ საკუთარი სურვილით არ გააკეთებდა, ისევე როგორც არ დაუბრუნებდა პენსიონერებს იმ პროცენტებს, რაც მათგან აქვს ამოღებული.

ამ პენსიონერებისთვის ძალიან კარგია, რომ მათ ფულს უბრუნებენ და, როგორც აღმოჩნდა, არც ისე მცირე თანხაზეა საუბარი, რადგან თითოეულ მათგანს 70-90 ლარი ხვდება. მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს აშკარად მოსახლეობის მოსყიდვაა, რადგან მმართველ პარტიასთან დაახლოებული ბანკი მოსახლეობას წინასაარჩევნოდ ფულს ურიგებს.

საპარლამენტო უმრავლესობას ამ თემაზე არანაირი კომენტარის გაკეთება არ სურს. საინტერესო კი ის არის, მოგელაძის უწყება რას იტყვის და ასეთ ფაქტებზე რატომ არ რეაგირებენ.

**თეონა ხარაბაძე**

# ღვაწლმოსილი მეცნიერი, მოღვაწე

## მარიამ ლორთქიფანიძეს 90 წელი შეუსრულდა

**გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და პედაგოგს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს 90 წელი შეუსრულდა. ამ გადასახედიდან მეცნიერს შეუძლია იამაყოს თავისი ღირსებით განვლილი გზით, შემოქმედებითი საქმიანობით თუ საზოგადოებრივი ცხოვრებით.**

**მარიამ ლორთქიფანიძე ქართველ ისტორიკოსთა იმ სკოლის წარმომადგენელია, რომელსაც საფუძველი დაუდეს დიდმა ივანე ჯავახიშვილმა და მისმა ორმა სახელოვანმა მოწაფემ – სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა. პატრიოტიზმი („მამულიშვილობა“) და მეცნიერული კეთილსინდისიერება – აი, ამ სკოლის ფუძემდებლის მიერ დამკვიდრებული ის პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ თავიანთ მოღვაწეობაში ამ სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლები და მათ შორის, ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე.**

**მარიამ ლორთქიფანიძის კალამს ეკუთვნის 150-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორისაა რამდენიმე მონოგრაფია, სამეცნიერო სტატიები. გარდა ამისა, მრავალი საენციკლოპედიო თუ საგაზეთო სტატია. ამ ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული მედიევისტიკის განვითარებაში, შუქი მოჰფინეს ბევრ, მანამდე გადაუჭრელ პრობლემას. ამავე დროს ის გულმხურვალედ და შემართებით ეხმაურება საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, პირნათლად იხდის მეცნიერ-პატრიოტის ვალს სამშობლო ქვეყნის წინაშე.**

ამთავითვე ხაზგასმულია, რომ მარიამ ლორთქიფანიძე მაღალი ღირსებით გამორჩეული ოჯახის შვილია. მისი მამა – დავით ლორთქიფანიძე ევროპულ ტრადიციებზე აღზრდილი ინტელიგენტი იყო. მისი მაღალი განათლება და კულტურა, ცხადია, ოჯახსაც კარგად ეტყობოდა. დედა – ულამაზესი ქალბატონი, ფრიად განათლებული ნინო მიქელაძე გენერლის ქალიშვილი იყო. მშობლებმა დიდი კვალი დაამჩნიეს ქალბატონ მარიკას აღზრდას. იგი სიამოვნებით იგონებს მშობლებისა და ბებიის (ბებია მართა თავდგირიძის ქალი იყო) დიდ მცდელობას, გაეღვიძებინათ ბავშვებში (ქალბატონ მარიკას ძმა გიგა ლორთქიფანიძეს გამორჩეულად წარდგენა საზოგადოებისათვის ზედმეტია) დედა ენისა და ქართული ლიტერატურის ღრმა სიყვარული. მარიამ ლორთქიფანიძე აღტაცებით ლაპარაკობს ბებია მართაზე (დაბადებულია 28 აგვისტოს, ქალბატონ მარიკას სახელი მის პატივსაცემად დაერქვა), რომელიც ხშირად „ვეფხისტყაოსანს“ უკითხავდა; ბებიის ემოციურ ინტონაციებს თავისებური მუსიკა ჰქონდა. მუსიკის სიყვარულიც მარიამ ლორთქიფანიძის თანმდევია მთელი ცხოვრების მანძილზე. ეს სიყვარულიც მშობლებმა ჩაუნერგეს, რომელთაც იგი ხშირად დაჰყავდათ ოპერაში და კლასიკური მუსიკის კონცერტებზე. ერთხელ პატარა მარიკას ბახის მუსიკის კონცერტზე ერთ-ერთი ფუგის მოსმენისას ჩასძინებია. საყვედურით გამოუღვიძებია დედას – როგორ შემარცხვინეო. მარიამ ლორთქიფანიძის მუსიკის სიყვარული ოჯახური გარემოთიც იყო განსაზღვრულ-განპირობებული. გამოჩენილი ქართველი დირიჟორი ევგენი მიქელაძე მარიკას დედის, ნინო მიქელაძის მკვიდრი ბიძაშვილი იყო. ცხადია, დიდი მუსიკოსის გავლენა მის ახლობლებზეც შესამჩნევი იყო.

მარიამ ლორთქიფანიძემ 1939 წელს წარჩინებით – ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 25-ე საშუალო სკოლა. იგი სკოლაში გამორჩეული მოსწავლე იყო. გატაცებული ყოფილა ხელოვნებით და ამ დარგის ღრმად შესწავლა დაისახა მიზნად.

სკოლის წლებმა – იგონებს მარიამ ლორთქიფანიძე – ბევრი რამ მომცა. მინდა განსაკუთრებული სიყვარულით მოვიგონო ცნობილი ქართველი მწერლის დავით მეველის ქალიშვილი ნინო მიქელაძე, რომელიც მეოთხე კლასამდე ჩვენი კლასის დამრიგებელი იყო. იგი ყველა საგანს გვასწავლიდა, შემდეგ კლასებში – რუსულ ენასა და ლიტერატურას. მას ჩვენთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ის კი არ გვასწავლიდა, გვზრდიდა, ის გვაძლევდა ყველაფერს, რაც კი შეიძლება მოგცეს სკოლამ. უაღრესად მშობლიური, თბილი, გულისხმიერი ქალი იყო. აღმზრდელი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ქალბატონი მარიკა სიყვარულით იგონებს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ონოფრე ნიკოლაიშვილს, რომელსაც ჩამოყალიბებული ჰქონდა სამეცნიერო წრე და სისტემატური მუშაობით ახალგაზრდებს მეცნიერულ საქმიანობას აჩვევდა. მეცნიერი კეთილად იგონებს მკაცრ და მომთხოვნ გეოგრაფიის მასწავლებელს ოლია ჭეიშვილს, რომელიც ახერხებდა გეოგრაფიასთან ერთად ბევრი სხვა საინტერესო ისტორიული მოვლენა შეესწავლებინა.

სკოლის დამთავრების შემდეგ მარიამ ლორთქიფანიძემ და მისმა ბევრმა თანაკლასელმა (მათ შორის აკადემიკოსმა ოთარ ჯაფარიძემ, აწ განსვენებულმა პროფესორმა გივი კიღურაძემ) თბილისის უნივერსიტეტს მიაშურეს. ალმა-მატერმა თავისი გავლენა იქონია მეცნიერზე, ნაყოფიერად მიმდინარეობდა მისი შრომა. იგი წარმატებული სტუდენტი იყო და 1943 წელს ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, იმავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში საქართველოს ისტორიის სპეციალობით. მისი ხელმძღვანელი აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია იყო. იგი წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში ამეცადინებდა მომავალ მეცნიერს. საერთოდ მასწავლებელმა შეგირდზე დიდი კვალი დატოვა. ამას არაერთგზის აღნიშნავს თავად მარიამ ლორთქიფანიძე. ბოლო სამეცნიერო ნაშრომი, რომელსაც სიმონ ჯანაშიამ გზა დაულოცა, მარიამ ლორთქიფანიძის საკანდიდატო დისერტაცია იყო (ს.ჯანაშია 1947 წელს გარდაიცვალა). მარიამ ლორთქიფანიძე არაბულს და არაბული სამყაროს კულტურას სწავლობდა აკადემიკოს გიორგი წერეთელთან. ძველ ქართულსა და სომხურს პროფესორი ილია აბულაძე უკითხავდა.

**მარიამ ლორთქიფანიძე ფართო დიაპაზონის მეცნიერია. იგი იკვლევს საქართველოს შუა საუკუნეების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სახელმწიფო წყობილების და კულტურის ისტორიის საკითხებს. აგრეთვე დიდ ადგილს უთმობს ქართულ წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიას. მარიამ ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში – „ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში“ (1979 წ.) განხილულია ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობა და ადრეფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბების საკითხები; ხაზგასმულია დიდი მეფის საეკლესიო საქმიანობა. მეცნიერის კვლევა-ძიების შედეგების ერთი ნაწილი თავმოყრილია ფუნდამენტურ გამოკვლევაში „საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“. ნაშრომში ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის შექმნა განხილულია მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე ისტორიულ მოვლენებთან კავშირში, რამაც დააჩქარა ეროვნული ძალების კონსოლიდაციის პროცესი და ეროვნული თვითშეგნების ზრდა; შესწავლილია ქვეყნის გაერთიანების სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები, ქართული ეკლესიის როლი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.**

1947 წელს მარიამ ლორთქიფანიძემ მუშაობა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ისტორიის განყოფილებაში, რომელსაც იმხანად აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა. მარიამ ლორთქიფანიძემ არსებული ქართული, სომხური და არაბული წყაროების საფუძველზე მონოგრაფიულად შეისწავლა თბილისის საამიროს ისტორია. საკმაოდ მკვეთრად გამოიკვეთა საქართველოსა და სახალიფოს ურთიერთობისა და საქართველოში არაბთა მფლობელობის ისტორიის საკითხები. აღნიშნული მუშაობის შედეგი იყო მარიამ ლორთქიფანიძის გამოკვლევები ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ (თარგმანი და გამოკვლევა, 1951 წ.), „თბილისის საამიროს ისტორია“, „ქართველი და სომეხი ხალხების ბრძოლა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ“ და სხვ.

1948 წელს მარიამ ლორთქიფანიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „თბილისის საამირო“. იმავე წელს იგი მიწვეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე.

დადგენილია, რომ საქართველოს ცენტრალურ რეგიონებში არაბთა შედარებით მყარი ხელისუფლების არსებობის პირობებში დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა პერიფერიებში დაიწყო, ჩამოყალიბდა ახალი სამეფო-სამთავროები: კახეთის საქორეპისკოპოსო, აფხაზთა სამეფო, ქართველთა (ტაო-კლარჯეთის) საკურაპალატო, ჰერეთის სამთავრო და ქართული ქვეყნების გაერთიანების პროცესი სწორედ ამ სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბებით დაიწყო. ეს მონოგრაფია ავტორის სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენდა. დაცვა შედგა 1963 წელს. იგი მალე თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად აირჩიეს. 1972 წელს მარიამ ლორთქიფანიძე საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე გახდა.



მარიამ ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში „საქართველო XI-XII საუკუნეებში“, რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა 1974 წელს, წარმოჩენილია ისტორიული საფუძვლები, რომელთაც განაპირობეს მახლობელ აღმოსავლეთში საქართველოს ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა, წარმოჩენილია საქართველოს ავანგარდული როლი იმდროინდელ კავკასიაში, მოცემულია XI-XII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ისტორიის ნათელი სურათი. ამ ნაშრომისათვის მიენიჭა ივ.ჯავახიშვილის სახელობის პრემია. 1987 წელს ინგლისურ ენაზე გამოიცა მარიამ ლორთქიფანიძის „XI-XII საუკუნეების საქართველოს ისტორია“. 1966 წელს, რუსთაველის რვაასწლოვანი იუბილის დროს, გამოცემული „რუსთაველის ეპოქა“ (ქართულ და რუსულ ენებზე) პოპულარულად წარმოაჩენს საკითხთა იგივე წრეს, აღწერს „ოქროს ხანას“ საქართველოში.

მარიამ ლორთქიფანიძემ მნიშვნელოვანი ამაგი დასდო „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის შექმნას. იგი აქტიურად მონაწილეობდა „ნარკვევების“ II და III ტომებში. თანაავტორია სწორედ ამ ტომებში გამოქვეყნებული საკითხებისა. მის მიერ გამოქვეყნებულია IX-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხები. რვატომეულმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ავტორთა კოლექტივი, მათ შორის მარიამ ლორთქიფანიძე 1980 წელს სახელმწიფო პრემიით დააჯილდოვეს.

მარიამ ლორთქიფანიძემ თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქართველოს გლეხობის ისტორიის კვლევას. აქვე გააშუქა აზნაურთა ფენის წარმოქმნა-ჩამოყალიბების პრობლემებიც. მეცნიერის ნაშრომები: „ძირითადი საზოგადოებრივი კლასები IX-X საუკუნეების საქართველოში“, „ბატონყმობის გამარჯვების საკითხისათვის“, „საქართველოს გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა VI-XIII საუკუნეების საქართველოში“ (კოლექტიური ნაშრომის ერთი ნაწილი) და სხვა. მნიშვნელოვან დებულებებსა და დასკვნებს შეიცავს საქართველოს გლეხობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის, აზნაურთა სტატუსისა და მათ მიერ მიწების ფლობის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის პირველი მეფის ბაგრატ III-ის ცხოვრებასა და მოღვაწეობას („ბაგრატ III“).

მარიამ ლორთქიფანიძის დამსახურებაა, რომ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია „ბაგრატ III-ის სამართალს“ და აქედან გამომდინარე ფასეული დასკვნები გააკეთა ბატონყმობის გამარჯვების თარიღთან დაკავშირებით. დაადასტურა, რომ IX საუკუნისათვის გლეხობა ჩამოყალიბებულია როგორც ერთიანი სოციალური ფენა და მიწაზეა მიმაგრებული. ასევე დამთავრებულია ამ დროისათვის აზნაურების ერთიან ფენად ჩამოყალიბების პროცესი. უკვე არსებობენ „დიდებული აზნაურები“. მარიამ ლორთქიფანიძემ თვალი გაადევნა მიწის საკუთრების ისეთი ფორმების არსებობას და მის ევოლუციას, როგორიცაა „აგარა“ („აგარაკი“) და გამოთქვა თვალსაზრისი, რომ „ქართულმა „აგარაკმა“ განვითარების ისეთივე გზა განვლო, როგორიც ევროპულმა „ალოდმა“ (1960 წ.). გამორჩეულად საინტერესოა მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომი „ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელენი)“. მეცნიერი ასკვნის, რომ ქართულ ქალაქებში არაბული სახელწოდების სამოხელეო ინსტიტუტები (ამირა, შურტა, მუჰთასიბი) განსხვავდებიან თავისი არსით სახალიფოს ქალაქებში მოღვაწე იმავე სახელწოდების მოხელეებისაგან. ეს კი აიხსნება მათზე ქართული სინამდვილის გავლენით. საგულისხმოა, რომ საქართველოს სახელმწიფო მონარქიის უმნიშვნელოვანესი მოხელე „ვაზირი“, მარიამ ლორთქიფანიძემ დაუკავშირა ქართულ ნიადაგზე აღმოცენებულ „უხუცესთა“ ინსტიტუტსა და საინტერესო დასკვნები მოგვცა მის შესახებ.

მეცნიერმა თავის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი დაუთმო ქართული ისტორიული აზროვნების საკითხებს. მის მონოგრაფიაში „ადრეფეოდალური ხანის საისტორიო მწერლობა“ ქართული საისტორიო აზროვნების განვითარების დონის წარმოსაჩენად დეტალურად განიხილა ჰაგიოგრაფიული მწერლობა. ყურადღება დაუთმო სამოქალაქო საისტორიო მწერლობას და მისი წარმოშობის პრობლემას. ეს საკითხი სრულიად მართებულად წინაქრისტიანული ხანის ისტორიულ აზროვნებასთან დააკავშირა. საინტერესო ისტორიოგრაფიული ნაშრომია „ადრეფეოდალური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში“. აქ განხილულია ისტორიკოსების შეხედულებები ადრეფეოდალური ხანის ისტორიაზე.

თავის შრომებში: გიორგი მთაწმინდელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“ და გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმინდელის“ ცხოვრება“, როგორც საისტორიო წყარო“ (1984 წ.) და სხვ. მარიამ ლორთქიფანიძემ საგანგებოდ განიხილა ქართული სამო-

ქალაქო საისტორიო მწერლობის წარმოშობის საკითხი, მართებულად დაუკავშირა ის წინაქრისტიანულ ხანის ქართულ საისტორიო აზროვნებას და აღნიშნა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ე.წ. „ქრონიკა“ არის ჩვენამდე მოღწეული უძველესი სამოქალაქო საისტორიო თხზულება. ამასთანავე აღნიშნა, რომ ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები არის როგორც მხატვრული, ისევე საისტორიო ჟანრის თხზულებები.

მარიამ ლორთქიფანიძემ დიდი ამაგი დასდო ქართული საისტორიო წყაროების რუსულად თარგმნას. მეცნიერმა თარგმნა და რუსულად გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ თხზულებები: „მატიანე ქართლისა“ და სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. აღნიშნული გამოცემებისათვის მარიამ ლორთქიფანიძეს ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. მის მიერ დამუშავებული ეს თხზულებები შევიდა 2008 წელს გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“, რუსული თარგმანები კი იმავე წელს გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ რუსულ ვარიანტში. „ქართლის ცხოვრების“ ახალ გამოცემაში გაწეული შრომისათვის მარიამ ლორთქიფანიძეს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის საააკადემიო პრემია (სხვა ავტორებთან ერთად). დიდი ამაგი დასდო ქართლის ცხოვრების შესწავლას (იხ. „რა არის ქართლის ცხოვრება“).

აღსანიშნავია, რომ მარიამ ლორთქიფანიძემ მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ისტორიის ნარკვევების შექმნაში. იყო პირველი ტომის ავტორი (სხვა მეცნიერებთან ერთად), კერძოდ მან დაწერა აფხაზეთის ადრეფეოდალური ხანის ისტორიის მონაკვეთი (1960 წ.). ეს გარკვეული წვლილი იყო აფხაზეთის ხალხის ისტორიის შესწავლის საქმეში.

ნაშრომში „აფხაზები და აფხაზეთი“ (1960 წ., ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე) მარიამ ლორთქიფანიძეს განხილული აქვს აფხაზეთის ისტორია და მისი ადგილი საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ცნების „აფხაზების“ და „აფხაზეთის“ მნიშვნელობა, ამ ტერმინის შინაარსის ცვლა სხვადასხვა ეპოქაში. დასაბუთებულია, რომ აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო.

მარიამ ლორთქიფანიძე არის „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების“ I ტომის (1998 წ.) თანაავტორი.

მარიამ ლორთქიფანიძემ საგანგებოდ შეისწავლა და რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობასა და მათ ერთობლივ ბრძოლას უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ, ქართული და სომხური ეკლესიების ურთიერთობას. მეცნიერმა გარკვეული ადგილი დაუთმო საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობების შესწავლას. ერთ-ერთ ნაშრომში წარმოადგინა ბიზანტიურ-ქართული კულტურული ურთიერთობების პერიოდიზაცია (1982 წ.).

მარიამ ლორთქიფანიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილისის ისტორიის შესწავლაში. გამოიკვლია თბილისის წარმოქმნისა და პოლიტიკურ-კულტურული, სოციალური ისტორიის, სამოხელეო წყობილების, ქალაქის ისტორიული გეოგრაფიის, ქალაქის განაშენიანების საკითხები ნაშრომებში: „თბილისი IV-X საუკუნეებში“ (წიგნში „თბილისის ისტორია“, I, 1990 წ.); „თბილისი“ (IV-XII სს.-ის დასაწყისი) რუსულ ენაზე (1991 წ.), „ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან (სოლდებილი)“, 1954 წ., „ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში“ (1954 წ.) და სხვ.

მარიამ ლორთქიფანიძე აქტიურად იცავს ჩვენი ქვეყნის ისტორიას მეცნიერულ გამყალბებელთაგან. მან საგანგებო წერილში, რომელიც 1968 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა (მაცნე, № 4), ამხილა სომეხი მეცნიერის პ.მურადიანის თვალსაზრისის უსაფუძვლობა მცხეთის ჯვრის ამშენებლად სომეხი ხუროთმოძღვრის გამოცხადების შესახებ, აგრეთვე, გაილაშქრა (შოთა მესხიასთან ერთად) ვერმიშევის რომანის „ამირსპასალარის“ წინააღმდეგ. რეცენზია („მრუდე სარკეში“) გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ (1969 წ., № 10). დაბეჭდა რეცენზია რ.ვახიტოვის წერილზე (რ.ვახიტოვი – ბაშკირეთის სახ. უნივერსიტეტის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კათედრა, Литературная газета, 2008 წ., 6-11 ნოემბერი), (თანაავტორი გ.ოთხმეზური – „შეუგნებელი არაკომპეტენტურობა თუ შეგნებული სიყალბე“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2009 წ, 27, 28, 29, 30 იანვარი.

მან ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა პროფესორ მზია ლეკვეიშვილთან, აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძესთან, პროფესორ გივი ჟორდანიასთან და პროფესორ გიორგი ფუთურიძესთან ერთად უნივერსიტეტში ლექციების ნაწილის რუსულად წაკითხვის მოთხოვნის წინააღმდეგ. იგი შემდეგ მხარში ედგა იმ სტუდენტებს, ვინც ქართული ენის სტატუსის დასაცავად გამოდიოდნენ.

მარიამ ლორთქიფანიძე ორჯერ წარსდგა მოსკოვში ქართულ დელეგაციასთან ერთად საკავშირო განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვდა ეროვნული ისტორიების არა ცალკე, არამედ სსრკ-ს (ფაქტობრივად რუსეთის ისტორიასთან) შერწყმით სწავლებას. სომხების, ბალტიისპირელების და ქართველების კატეგორიულმა პოზიციამ ჩაშალა რუსიფიკატორთა ეს ერთ-ერთი გამოხდომა ეროვნული ისტორიების დამოუკიდებლად სწავლების წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანია ქალბატონ მარიამის ღვაწლი ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდაში. მისი ხელმძღვანელობით გაიარა საასპირანტო კურსი და დაიცვა საკანდიდატო არაერთმა ახალგაზრდა მკვლევარმა. მისი, როგორც ოფიციალური ოპონენტის ხელში სამ ათეულზე მეტმა საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციამ გაიარა. იგი აქტიურ სალექციო მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1948 წლიდან მარიამ ლორთქიფანიძე კითხულობდა საქართველოს ისტორიის ზოგად კურსს, მახლობელი აღმოსავლეთის შუა საუკუნეების, სახალიფოს ისტორიის, ქართული წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის კურსებს ისტორიის, ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებზე.

მარიამ ლორთქიფანიძე თანაავტორია საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლის VIII-IX კლასების სახელმძღვანელოსი, რომლის სამი შევსებულ-გადამამუშავებელი გამოცემა გამოვიდა რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე. ამ სახელმძღვანელოზე წლების მანძილზე იზრდებოდა ახალგაზრდობა. ამასთანავე, თანაავტორი იყო VII და X კლასების საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებისა. მისი თანაავტორობითა და რედაქციით გამოიცა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის (2006 წ.). არის საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის მთავარი რედაქტორი და II ტომის გარკვეული ნაწილის ავტორი.

მისი შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე.

წლების მანძილზე ის თავმჯდომარეობდა უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო ხარისხების (საქართველოს ისტორიასა და წყაროთმცოდნეობა-ისტორიოგრაფიაში) მიმნიჭებელ საბჭოს.

დიდ დროსა და ენერგიას უთმობდა ქალბატონი მარიამი საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციას. მისი საუნივერსიტეტო და საჯარო ლექციები (საქართველოში, მოსკოვში, ლენინგრადში, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში, უცხოეთში) გამოირჩეოდა სიღრმითა და დახვეწილობით. მისი სატელევიზიო გამოსვლები ხელს უწყობდა ახალგაზრდობას, ფართო საზოგადოებას ჩვენი ქვეყნის წარსულის აღქმაში.

სასულიერო აკადემიის დაარსების დღიდან იგი კითხულობს საქართველოს ისტორიას საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე.

ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტმა (ABI) მარიამ ლორთქიფანიძე 1997 წლის გამოჩენილ ადამიანად გამოაცხადა (Man of the Year). „დიდად პატივცემულო ქალბატონო მარიამ, წერს ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის პრეზიდენტი ბ-ნი ჯონ ევანსი, სიხარულით გაუწყებთ, თქვენთვის პრესტიჟული ტიტულის



„1997 წლის ადამიანის“ მინიჭების შესახებ. ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო საბჭოს აღნიშნულით თქვენი მიღწევებისა და დამსახურებისათვის საზოგადოების წინაშე, ჩვენ გვქონდა ბედნიერი შესაძლებლობა, გავცნობოდით ადამიანთა დამსახურებებს ცნობილი დოკუმენტის „ვინ ვინ არის“ მიხედვით, დიდი შრომა იყო საჭირო, რათა აგვერჩია საუკეთესო მათი მოღვაწეობის ორიგინალური რეზულტატების მიხედვით. მიიღეთ ჩემი მოლოცვა თქვენი აღიარების გამო“ (B. V. Evans). მან აშშ-დან მიიღო ამ აღიარების დამადასტურებელი მედალი.

იმავე ინსტიტუტმა მარიამ ლორთქიფანიძე აირჩია XX საუკუნის გამოჩენილ ქალად, ხოლო 2009 წელს აირჩია დიდების დარბაზის წევრად. XX საუკუნის გამოჩენილ ქალად გამოაცხადა ქალბატონი მარიამი კემბრიჯის ინტერნაციონალური ბიოგრაფიის ცენტრმა. წერილს ხელს აწერდა ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელი ქრისტინ ბარკერი.

მარიამ ლორთქიფანიძე უაღრესად კეთილსინდისიერი და აუჩქარებელია საისტორიო მასალების მოძიებასა და მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ. ასევე მკაცრი და მომთხოვნი, მაგრამ, ამავე დროს, ყურადღებიანი და მზრუნველი მოწაფეების, სტუდენტების მიმართ. ამიტომაც სარგებლობს იგი ასეთი სიყვარულითა და პოპულარობით და კიდევ ერთი თვისება, ის ყოველთვის დიდი პატივისცემითა და მადლიერებით იხსენებს თავის მასწავლებლებს.

მარიამ ლორთქიფანიძე აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო ცხოვრებაში. იგი არაერთგზის მონაწილეობდა ისტორიკოსთა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონგრესებში (მოსკოვი, ვენა, ბუქარესტი, სან-ფრანცისკო, ათენი და სხვ.).

1983 წლიდან მარიამ ლორთქიფანიძის თაოსნობით საქართველოს ისტორიის კათედრასთან დაარსდა სოფლების ისტორიის შემსწავლელი ლაბორატორია, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა. შეისწავლებოდა საქართველოს სოფლების ისტორია. ამ საქმეში სტუდენტებიც იყვნენ ჩაბმული. გამოიცა საქართველოს სოფლების ისტორიის რამდენიმე ნაკვეთი.

**საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ გულთბილად ულოცავს დაბადების საიუბილეო 90 წელს და ღვთისმშობელ მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს სახელოვან ქართველ მამულიშვილს, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს დედას, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს.**

**ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს ოჯხისა და ჩვენი ბედკრული სამშობლოს კეთილდღეობისთვის ბრძოლაში.**

**საუკეთესო სურვილებით**

**ბონდო კობაძე**

**ფონდის პრეზიდენტი, დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი.**

1975 წელს მარიამ ლორთქიფანიძეს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. 1983 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1993 წელს – ნამდვილ წევრად. ქალბატონი მარიამი წლების მანძილზე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის „შრომების“ მთავარი რედაქტორი, ასევე რედაქტორია (საქართველოს მხრიდან), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის სამი უნივერსიტეტის (იენი, სარბრუკენი, კონსტანცა) ერთობლივი გერმანულენოვანი კავკასიოლოგიურ-ქართველოლოგიური სამეცნიერო ორგანოსი „გეორგიკა“.

მარიამ ლორთქიფანიძე არჩეულია თბილისის საპატიო მოქალაქედ.

განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ მარიამ ლორთქიფანიძის დაჯილდოება ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენით. ეს 2009 წლის 25 თებერვალს მოხდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საზეიმო ვითარებაში გადასცა მეცნიერს ეს ჯილდო, თბილად დალოცა და საქართველოს დედა უწოდა. საგანგებო სიგელში, რომელიც თან ახლავს ჯილდოს, აღნიშნულია: „ქართველი *ერისა და საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის*“. მოგვიანებით ქალბატონი მარიამი წერდა: „არასოდეს *მიფიქრია თუ რამე განსაკუთრებულს ვაკეთებდი. მიმაჩნია, რომ ვაკეთებ იმას, რაც მევალება. ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, როდესაც სრულიად უცხო ადამიანები მილოცავენ, ქუჩაში მაჩერებენ, ტელეფონზე მირეკავენ და მეუბნებიან, რომ მე ეს ჯილდო დავიმსახურე*“.

გულწრფელია ირინე გოცირიძის ლექსი მიძღვნილი ქალბატონი მარიამისადმი:

**„მეცნიერი ქალები**
**ჩვენში მრავლად არიან,**
**მაინც ერთადერთი ხართ,**
**ქალბატონო მარიამ.**
**... თქვენი ყველა ნაბიჯი**
**მუდამ შეუმცდარია,**
**ბრძენო მანდილოსანო,**
**ქალბატონო მარიამ“.**

ერთი ფაქტიც გვინდა აღვნიშნოთ მარიამ ლორთქიფანიძის ცხოვრებიდან. ესაა მისი გამორჩეული მეგობრობა აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძესთან. ისინი ერთ კლასში სწავლობდნენ (ბატონი ოთარი მარიამზე ერთი წლით უფროსია), ერთდროულად ჩაირიცხნენ ისტორიის ფაკულტეტზე, ერთსა და იმავე დროს ჩააბარეს ასპირანტურაში, ჭირსა და ლხინს ერთად უმკლავდებოდნენ. დაახლოებით ერთდროულად დაიცვეს საკანდიდატო დისერტაციები. მეცნიერებათა აკადემიაშიც ერთდროულად აირჩიეს. შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ორივეს – მარიამ ლორთქიფანიძესა და ოთარ ჯაფარიძეს ოთხმოცდახუთწლოვანი ცხოვრების იუბილე ერთად გადაუხადა. ორი მეგობრის ურთიერთობა დღემდე სამაგალითოა.

მარიამ ლორთქიფანიძე ბედნიერია თავისი ძმით – გიგა ლორთქიფანიძით. გამოჩენილმა ქართველმა ხელოვანმა, თეატრისა და კინოს რეჟისორმა, დაუღლელმა საზოგადო მოღვაწემ, ქვეყნის ბედზე მაფიქრალმა და სამშობლოზე დამაშვრალმა გიგა ლორთქიფანიძემ წარუშლელი კვალი გაავლო ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. და-ძმა არა მხოლოდ ერთმანეთის მოყვარული, არამედ თანამოაზრენი არიან – მტკიცედ გამოხატავენ თავიანთ ეროვნულ პოზიციას.

მარიამ ლორთქიფანიძის მეტად საინტერესო დახასიათებაა მოცემული პროფ. ოთარ მიმინოშვილის წერილში – „ნუ გეშინია, დედა“:

„ქართული ისტორიოგრაფიის გვირგვინოსან დედოფალს და ამავე დროს რკინის ქალამნებში გამოწყობილ დედაკაცს, დედაბატონს, ქვეყნისა და უნივერსიტეტისათვის იმდენი ღვაწლია, უშრომია-უბრძოლია ყმაწვილქალობიდან დღემდე, რომ მისი საზოგადოებრივი და მეცნიერული მოღვაწეობის შეფასება-დახასიათებას, მე, ჩვეულებრივი რიგითი გულშემატკივარი – უმცროსი კოლეგა კი არა, მთლიანად დღევანდელი საზოგადოების ფართო სპექტრიც, ვფიქრობ, ვერ შეძლებს“...

ქალბატონი მარიამი კვლავ დაუშრეტელი ენერგიით ემსახურება თავის საყვარელ საქმეს – ქართულ საისტორიო მეცნიერებას, საყვარელ უნივერსიტეტს, სათაყვანო სამშობლოს. ჩვენს ქვეყანას დღეს განსაკუთრებით სჭირდება მისი თანადგომა, მისი ავტორიტეტული სიტყვა, მისი შემართება.

ასეთია ქალბატონი მარიამი – მეცნიერი და მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე, ერთგული მეგობარი, ბრწყინვალე ქართველი ქალი. ქალბატონი მარიამი დიდი ოჯახის დედაა – ჰყავს სამი შვილი. შვიდი შვილიშვილი, რვა შვილთაშვილი.

ვუსურვოთ ამაგდარ მეცნიერსა და დაუღლელ საზოგადო მოღვაწეს მარიამ ლორთქიფანიძეს ჯანმრთელობა და მრავალჟამიერი სიცოცხლე.

**როინ მეტრეველი.**
აკადემიკოსი

◉ მეგობარ ქვეყანაში

**წელს 67 წელი სრულდება მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან. ამ საშინელების მომსწრეთა ოდენობა წლითიწლობით სულ უფრო და უფრო მცირდება, ჩვენი თანამედროვეების უმრავლესობისთვის კი განვლილ წელთა მოვლენები სულაც მივიწყებულია და წელიწადში მხოლოდ ერთადერთ დღეს იხსენებენ ამ საშინელი პერიოდის ისტორიაში. მაგრამ ამის დავიწყება არ არის საჭირო. ისტორიასა და თანამედროვეობას შორის სხვაობა ხომ, როგორც ამის შესახებ თავის დროზე აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა უოლტერ მონდიელამ, არის ის, რომ „მესამე მსოფლიო ომის ვეტერანები აღარ იქნებიან“.**

**დღეს ბირთვულ სახელმწიფოთა კლუბის კონტროლს დაუქვემდებარებელი გაფართოების საფრთხე** – XXI საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზული და მასშტაბური პრობლემაა, რომელმაც უკან მოიტოვა ისეთი მოვლენაც კი, როგორიცაა ტერორიზმი. დღითი დღე მიმდინარე მოვლენათა სისწრაფე გვაიძულებს, ახლებურად შევხედოთ უშიშროების ძველ მექანიზმებს, მათ შორის ბირთვულ უსაფრთხოებასაც. შექმნილი სიტუაციის თვალსაზრისით, მსოფლიოში ჩნდება კითხვები: შეძლებს კი პოლიტიკოსთა პატარა ჯგუფი, რომელიც სათავეში უდგას ბირთვულ სახელმწიფოებს, უფრო გამჭვირვალე გახადოს სიტუაცია მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებით? როგორ დავამყაროთ ქმედითი და ეფექტიანი კონტროლი ბირთვულ ტექნოლოგიებზე და, ამავე დროს, მივცეთ სუვერენულ სახელმწიფოებს მშვიდობიანი ატომის განვითარებაზე უფლების გარანტია? როგორ უზრუნველვყოთ ჭეშმარიტი და არა მოჩვენებითი თანასწორობა ბირთვულ სფეროში?

უნდა შევახსენოთ, რომ დღეისთვის დედამიწაზე დაგროვილია დაახლოებით ორი ათასი ტონა გახლეჩილი მასალების ნარჩენები, რომლებსაც არ იყენებენ სამხედრო სექტორში, მაგრამ სავსებით ვარგისია ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობების გამზადებისთვის. ტერორისტებს კი, თუ მიიღებენ თავიანთ განკარგულებაში, თუნდაც, პრიმიტიულ ბირთვულ არსენალს, შეუძლიათ, მოაწყონ სერიოზული სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების დაწყების პროვოცირება.

# ბირთვული უსაფრთხოების სტანდარტები

## 29 აგვისტო ყაზახეთის ინიციატივით გამოცხადდა ბირთვული გამოცდების წინააღმდეგ მოქმედებათა საერთაშორისო დღედ



სამწუხაროდ, ჩვენი პრაგმატიზმის ეპოქაში პოლიტიკოსებს ინსტინქტი მოუდუნდათ და როგორც შედეგი – მსოფლიო აწყდება პასუხისმგებლობის კრიზისს ბირთვული უსაფრთხოების სფეროში. როგორც ყაზახეთის პრეზიდენტმა ნ. ნაზარბაევმა სეულში ბირთვული უშიშროების მეორე სამიტზე სამართლიანად განაცხადა: **„ზოგიერთი სახელმწიფო ბირთვული იარაღის ფლობას განიხილავს, როგორც უშიშროების ფაქტორს. ჩემი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით, რომელმაც ნებაყოფლობით განაცხადა უარი მსოფლიოში მეოთხე რაკეტულ-ბირთვულ არსენალზე, შემიძლია განვაცხადო: უშიშროების ნამდვილ გარანტიებს იძლევა მყარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.**

გამოცდილება კი რესპუბლიკას საკმაოდ დიდი აქვს. ყაზახი ხალხისთვის, რომელმაც თავის დროზე იწვნია ბირთვულ გამოცდათა მთელი საშინელება, სრული აკრძალვის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საშინელებაა იმ ციფრების გახსენებაც კი, რომელთა თანახმადაც ბირთვულ გამოცდათა ოთხი ათეული წლის განმავლობაში სემიპალატინსკის პოლიგონზე მოხდა 460 აფეთქება, მათ შორის 116 მიწისზედა, რომელთა შედეგადაც დაზარალდა მილიონნახევარზე მეტი კაცი. რადიაქტიული გამოსხივების შედეგების რისკზეშია – ვადამდელი გარდაცვალება, კიბოს დაავადებათა მაღალი დონე, თანდაყოლილი ანომალიები, კერძოდ, ბავშვების გონებრივი და ფიზიკური დეფექტებით დაბადება.

ასეთი ტრაგიკული შედეგები განმარტავს, თუ 1991 წლის 29 აგვისტოს ყაზახებმა როგორი შვებით მიიღეს პრეზიდენტ ნ. ა. ნაზარბაევის ბრძანებულება ბირთვული პოლიგონის დახურვის შესახებ. და სიმბოლურია ის ფაქტი, რომ მრავალი წლის შემდეგ, სწორედ ეს დღე – 29 აგვისტო, ყაზახეთის ინიციატივით, გამოცხადდა ბირთვული გამოცდების წინააღმდეგ მოქმედებათა საერთაშორისო დღედ. ამ თარიღს უკავშირდება ყაზახეთში მიმდინარე წლის 27-29 აგვისტოს გამართული საერთაშორისო ფორუმი უბირთვო მსოფლიოსთვის.

დღეს ყაზახეთი მხარს უჭერს მშვიდობისმოყვარულ საგარეო კურსს, აგრძელებს თანამშრომლობას მაგატესთან, ბირთვულ მიმწოდებელთა ჯგუფთან, კრაკოვის ინიციატივასთან, ცანგერის კომიტეტთან და გლობალურ ინიციატივებთან ბირთვული ტერორიზმის აქტების წინააღმდეგ ბრძოლაში. რესპუბლიკაში ასევე შეიქმნა და წარმატებით მოქმედებს მასობრივი განადგურების იარაღის გაურვცელებლობის ეროვნული კომისია, რომლის მთავარი მიზანიც არის ბირთვული მასალების გადინების შესაძლებლობის სრული აღმოფხვრა და რომლის კომპეტენციაშიც შევიდა ბირთვულ ციკლთან დაკავშირებული საკითხების წრე.

ცხადია, არ შეიძლება ვაღიაროთ, რომ დანარჩენი მსოფლიო არ ისწრაფვის, მიბაძოს ცენტრალური აზიის რესპუბლიკის მაგალითს და აქტი აქციოს კეთილ ნებად, ნებაყოფლობით განაცხადოს უარი ბირთვულ არსენალზე. უფრო მეტიც, უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში მსოფლიოში გაჩნდა ახალი, ეგრეთ წოდებული „ზღურბლი“ ქვეყნები, რომლებიც ერთ ნაბიჯზე იმყოფებიან ბირთვული ბომბისგან. მთლიანად, ბირთვული ფაქტორი დიდ პოლიტიკაში არ შემცირებულა, ზოგიერთი მაჩვენებლით კი იგი გაიზარდა კიდეც. ინდოეთსა და პაკისტანს უკვე აქვთ ბირთვული არსენალი, ჩრდილოეთმა კორეამ ააფეთქა ბირთვული ჭურვი, დღეს კი მიმდინარეობს მწვავე დისკუსიები ირანთან დაკავშირებით. მაშ, როგორღა უზრუნველვყოთ არაბირთვული ქვეყნების უსაფრთხოება? ასევე საკმაოდ მწვავედ რჩება სიტუაცია, როდესაც მთელი რიგი საკმაოდ გავლენიანი ქვეყნები დღემდე თავს იკავებენ იმაზე, რომ ხელი მოაწერონ და მოახდინონ რატიფიკაცია ხელშეკრულებისა ბირთვული გამოცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის შესახებ. საქმის ასეთი ვითარება საშუალებას აძლევს ოფიციალურ ბირთვულ სახელმწიფოებს, გააგრძელონ ბირთვული იარაღის გამოცდები, „ზღურბლ“ სახელმწიფოებს კი – აუკრძალავად აწარმოონ მუშაობა საკუთარ სარაკეტო ბირთვულ პროგრამებზე. აქედან ჩნდება პირველების მიმართ შეკითხვა: რამდენ ხანს შეიძლება განაგრძო ბირთვული იარაღის მოდერნიზირება და, ამავე დროს, არწმუნო განვითარებადი ქვეყნები მის აუცილებლობაში, რომ უარი თქვან მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის პროგრამებზე?!

ამას გარდა, არ ღირს დავივიწყოთ, რომ, როდესაც ღებულობს კანონიერ და მთელი კაცობრიობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ზომებს ბირთვული უშიშროების სფეროში კონტროლის შესახებ, საერთაშორისო გაერთიანებამ არ უნდა უგულებელყოს გლობალური ტენდენციები ენერგეტიკისა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში. ამიტომ უნდა დავიცვათ ბალანსი ბირთვულ ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში ძალისხმევასა და ლეგიტიმურობას შორის ბირთვული პროგრამების საერთაშორისო უფლებების თვალსაზრისით. აგრეთვე შევქმნათ სახელმწიფოებისთვის პირობები, რომელთა თანახმადაც მათთვის ეკონომიკურად იქნება ხელსაყრელი, დარჩნენ საერთაშორისო სამართლებრივ ველში და განავითარონ მხოლოდ სამშვიდობო ბირთვული პროგრამები. თავის მხრივ, პრეზიდენტმა ნაზარბაევმა გამოყო სამი მთავარი პრინციპი, რომელთა თანახმადაც შეიძლება სრულვყოთ ბირთვული ენერგეტიკა. ეს არის: **უნივერსალობა, კერძოდ კი იურიდიულად სავალდებულო ბირთვული უსაფრთხოების სტანდარტების მიღება; ტრანსპარანტულობა და ოპერატიულობა.**

ბირთვულ ობიექტებზე ნებისმიერი ინციდენტების შესახებ სრული და ოპერატიული ინფორმირების გარდა საჭიროა, შევიმუშაოთ საგანგებო სიტუაციებზე სწრაფი რეაგირების ზუსტი მექანიზმი; თანაბარუფლებიანობა და ნდობა, რომლის თანახმადაც ყველა სახელმწიფოს უნდა მიენიჭოს თანაბარი უფლებები მშვიდობიან ბირთვულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობაში, აგრეთვე მიეცეს შესაძლებლობა, გამოიყენოს მცირედგამდიდრებული ურანის საერთაშორისო ბანკის გარანტირებული მარაგები.

70 წლის წინათ უინსტონ ჩერჩილმა თქვა: „ადამიანები კონფლიქტების ისტორიაში ჯერ კიდევ არასოდეს ყოფილა, რომ ასე მრავალნი ვალში ყოფილიყვნენ ასე მცირეოდენთა წინაშე“. საბედნიეროდ, დღეს მსოფლიო არ არის ბირთვული კონფლიქტების არენა. მაგრამ ის არის სერიოზულ დაპირისპირებათა არენა. და ამ წინააღმდეგობათა გადაწყვეტა იმ ცოტა ხალხის ხელთაა, ვინც ღებულობს გადაწყვეტილებას. თითოეული სახელმწიფოს ლიდერს აკისრია პასუხისმგებლობა იმისთვის, რომ გახლეჩილი ატომი არ გვხლეჩდეს ყველა ჩვენგანს. და ყაზახეთი თავისი ლიდერის ხელმძღვანელობით გახდა ღირსეული მაგალითი იმისა, თუ ქვეყნის პოლიტიკა როგორ უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ თავისი მოქალაქეების კეთილდღეობას, არამედ მთელ მსოფლიო თანამეგობრობასაც.

გივი სირბილაძე

## დედამიწის ზურგზე




ეკვადორმა გამოაცხადა დიდ ბრიტანეთზე გამარჯვების შესახებ: მან უარი თქვა საელჩოს შტურმზე

**ეკვადორის პრეზიდენტმა რაფაელ კორეამ განაცხადა, რომ მიიღო ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი, რომელშიც ამტკიცებს, რომ უწყება არასოდეს ემუქრებოდა იერიშით დიპლომატიურ მისიას. „ჩვენ დიდი სიხარულით ვღებულობთ ცნობას, რომ დიდი ბრიტანეთი უარს აცხადებს იმაზე, თუ რის გაკეთებასაც აპირებდა“, – განაცხადა კორეამ და ბრიტანელების დაშინებას „მძიმე შეცდომა“ უწოდა.**

* * *



„ფორმულა-1“-ის 81 წლის პატრონი საიდუმლოდ დაქორწინდა ქალზე, რომელიც მასზე 46 წლით ახალგაზრდაა

**ჯვრისწერის ცერემონია ვიწრო წრეში გაიმართა ბერნი ეკლსტოუნის 36 მილიონიან ბინაში სამთო-სათხილამურო კურორტ გშტადში. მაგრამ მილიონერის ქალიშვილები – 28 წლის მოდელი თამარა და 24 წლის დიზაინერი პეტრა მამის მესამე ქორწინებას 36 წლის ბრაზილიელ ქალთან უგულებელყოფენ.**

* * *

ინდონეზიის ჯუნგლებში აღმოაჩინეს დაკარგული თვითმფრინავის ნამსხვრევები

**თვითმფრინავის ბორტზე იმყოფებოდა ოთხი კაცი: მფრინავი ინდონეზიელი, კიდევ ორი ინდონეზიელი და გეოლოგიური დაზვერვის ერთ-ერთი კომპანიის მფლობელი პიტერ ჯონ ელიოტი – ავსტრალიის მოქალაქე. „ყველა მგზავრი და მფრინავი დაცემის დროს ნაკუწებად იქცნენ და დაიწვნენ“, – განაცხადა პოლიციამ.**



* * *

კადაფის ყოფილი რეზიდენციის ადგილზე დიდ პარკს გააშენებენ, ააგებენ ბიბლიოთეკასა და თეატრს

**იქვე გაჩნდება მონუმენტი „ლიბიის რევოლუციის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად“. შარშან ზაფხულში მეამბოხეების მიერ მთელი რიგი დასავლეთის ქვეყნის სპეცნაზელების დახმარებით ტრიპოლიზე შეტევის დროს ბაბ-ელ-აზიზია ნატოს საავიაციო ძალების დარტყმის შედეგად ნანგრევებად იქცა.**



დასასრულ – საქმიანი რეკომენდაციები და მითითებანი შემდგომ საგანგებო შემთხვევათა გამოსარიცხად.

ბოლო ფრაზა აუცილებელ ორგანიზაციულ წერტილს სვამს.

საერთო ტონი მკაცრია, მაგრამ არა გამანადგურებელი. არავითარი შავი დღის დაყენებები, არავითარი „ზანაკის მტვერი“. ეგ იმიტომ, რომ „მტვრად გადაქცევა“ არაა მისი სტილი.

ორმოცი დღის შემდეგ ამ წერილის ავტორს დაიჭერენ. სახელმწიფოს ცხოვრება უიმისოდ გაგრძელდება და არცთუ სასიკეთოდ...

## ბოლოთქმა

პროკურორ სუხომლინოვის წიგნი ლავრენტი ბერიაზე ასე იწყება: „რამდენჯერ გვსმენია, ეგ კი არა, თვითონაც წარმოვთქვამთ „ღმერთმა დამიფაროს“... ჰოდა, მეც მინდა თქმა „ღმერთმა ნუ ქნას“, რომ ვინმემ იფიქროს, თითქოს კალამს ხელი მოვკიდე ლავრენტი ბერიას გასამართლებლად, გასათეთრებლად, სარეაბილიტაციოდ, უბრალოდ, მისგან ადამიანთა სისხლის ჩამოსარეცხად...

მე ვამთავრებ ჩემს წიგნს და ახლა, როცა ლავრენტი პავლოვიჩზე განუზომლად მეტი ვიცი, ვიდრე ნახევარი წლის წინათ ვიცოდი, შემიძლია თქმა, რომ ყოველთ უწინ კალამი ავიღე იმის გასაგებად, თუ რა კაცი იყო ის. საუცხოო, უდიდესი ორგანიზატორის ნიჭი რომ ჰქონდა, ეს მე, საიარაღო საქმეში 30 წლის ნამუშევარმა, დიდი ხანია ვიცოდი; ოღონდ ფლობდა თუ არა ადამიანობის ნიჭსაც?

ჰოდა აი, ახლა, როცა ვიცი ბევრად მეტი, ვიდრე ვიცოდი, ვაცხადებ, რომ ეს წიგნი დავწერე ლავრენტი ბერიას დიახაც გასამართლებლად, გასათეთრებლად, სარეაბილიტაციოდ, უბრალოდ რომ ვთქვათ, მისგან დაუმსახურებელი ჭუჭყის მოსაცილებლად...

2000 წლის მაისში რუსეთის ფედერაციის მთავარი სამხედრო პროკურატურა ამტკიცებდა, 1953 წელს მსჯავრდადებულმა ბერიამ და მისმა თანამოაზრეებმა, უხეშად გათელეს რა ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუცია და საკავშირო სახელმწიფოს ძირითადი კანონი – სსრ კავშირის კონსტიტუცია და სხვა კანონები, ძალაუფლების დაპყრობის მიზნით შექმნეს უკანონო მასობრივი რეპრესიების დანაშაულებრივი მექანიზმი...“

2000 წელს, 1991-ში გორბაჩოვისა და 1993-ში ელცინის „მხატვრობების“ (ანუ ოინების) შემდეგ, „ძალაუფლების დაპყრობის“ გეგმებში წაყენებული ბრალდება ანეკდოტურად და, სსრ კავშირის კონსტიტუციაზე მითითების გათვალისწინებით, დამცინავადაც გამოიყურებოდა; თუმცა, საქმის არსი ეს კი არა, ისაა, რომ პროკურატურა ბერიასა და სხვებს ადანაშაულებდა 1937-1938 წლებში უკანონო მასობრივი რეპრესიების დანაშაულებრივი მექანიზმის შექმნაში იმ ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუციის დამოწმებით, რომელმაც არსებობა შეწყვიტა 1936 წლის 5 დეკემბერს – სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ.

აი, როგორი „მეკანონეები“ არიან! ოღონდ განა ეს შეაცბუნებდა ლავრენტი პავლოვიჩის „ბრალმდებლებს...“?

ზუსტად ორი წლის მერე, 2002 წლის მაისში, სამხედრო კოლეგიამ დაადგინა, რომ ლავრენტი ბერია, ვსევოლოდ მერკულოვი, ბოგდან ქობულოვი და სერგეი გოგლიძე რეაბილიტაციას არ ექვემდებარებოდნენ.

რას იზამ... ისეთ ფიგურებს, როგორიცაა ლავრენტი ბერია, ადამიანების სასამართლო კი არა, ისტორიის სასამართლო მიუსჯის სასჯელს ან აღუდგენს სახელს. ისტორიის სასამართლო კი ლ.პ.ბერიას, ადრე იქნება თუ გვიან, რეაბილიტაციას მიაგებს! და ვიმედოვნებ, რომ ჩემი წიგნი სამსახურს გაუწევს როგორც ბერიას და მისი ეპოქის, მომავალი სრული რეაბილიტაციის საქმეს, ისე ჩემი თანამედროვეებისა და თანამოქალაქეებისთვის მათი სამშობლოს დიად წარსულზე სწორი შეხედულების გამომუშავების საქმეს.

ოდენ ამ წარსულზე სწორი შეხედულების მოპოვებით შევძლებთ ჩვენთვის ისტორიული მომავლის უზრუნველყოფას. მესმის, რომ აქ მრავალთათვის რაღაც ბანალური დავწერე, მაგრამ სხვა რა გზაა: ორჯერ ორი ხუთის კი არა, ოთხის ტოლია ამ ჭეშმარიტების მთელი ბანალურობისას...

მხოლოდ ბოლო თხუთმეტი წლის სიგრძეზე ლავრენტი პავლოვიჩზე დაიწერა ათეულობით წიგნი, საგაზეთო თუ საჟურნალო სტატია და სრული ისტორიული ანალიზისთვის იმ მასალისაც კი, რაც ჩემს განკარგულებაში აღმოჩნდა (აღმოჩნდა კი, უნდა ითქვას, არცთუ ცოტა), ამ წიგნზე ორჯერ მეტი გახდებოდა საჭირო; ამიტომაც ფაქტობრივად ჩემი ანალიზის საზღვრებს მიღმა დარჩა იმ ეპოქის ბევრი დოკუმენტიც ომისშემდგომი ეკონომიკის ორგანიზებაში ბერიას მონაწილეობის თაობაზე, პასკვილებიც, როგორც, ვთქვათ, ვალერი ბოლდინის „წითელი დაისი“; ამერიკელი ჰარისონ სოლსბერის ანტიბერიული გამონაგონებებიც მის წიგნში „900 დღე. ლენინგრადის ბლოკადა“, ლარინა-ბუხარინას მოგონებებიც, ემი ნაიტის წიგნებიც, ბორის სოკოლოვის ბერია. ყოვლის შემძლე (ხედავთ? – **ს.კ.**) სახკომის ბედი“ და რამდენიმე სხვა წიგნიც; ბერიას არაერთი „ინტერნეტული შეფასებაც“, მაგალითად, პეტრე ვაგნერისა და რუდოლფ პიხოიასი; ვერ შევძელი ჯეროვანი ყურადღების დათმობა ალექსანდრე ბუშკოვის მხრივ ლავრენტი პავლოვიჩის პიროვნების კორექტული გააზრებისთვის ან ხაზისთვის „ბერია – გერმანელი სპეციალისტები – მეატომეები“... თუნდაც ა.სუხომლინოვის იმავე წიგნის გარჩევაც უფრო დაწვრილებით შეიძლებოდა, მით უმეტეს, რომ მისი ანალიზი – ავტორის განზრახვათა საწინააღმდეგოდ – სასარგებლოა სწორედ ბერიას რეაბილიტაციის პოზიციებიდან.

ოღონდ ერთი გამოკვლევის შესახებ, ჩემგან ჯერ კიდევ მოუხსენიებელზე (და დასანანად, ჩემთვის ჯერჯეროზით მხოლოდ ყდის მიხედვით ცნობილზე) უთუოდ უნდა ითქვას. 1998 წელს გამომცემლობაში „რუ-



სერგეი კრემლიოვი

# დიდი ბერია

რამდენიმე თავი ახალი წიგნიდან




სიჩ.ოლიმპი“ გამოვიდა ნ.რუბინის წიგნი „ლავრენტი ბერია. მითი და რეალობა“, რომელიც „ინტერნეტში“ ამგვარადაა ანოტირებული:

„ეს ნაშრომი გახლავთ საინტერესო ისტორიული გამოკვლევა, მიძღვნილი ავად სახელგასმენილი ლავრენტი ბერიას პიროვნებისადმი. ამბების რეკონსტრუირებით, დოკუმენტებსა და თანამედროვეთა დამოწმებებზე დაყრდნობით, ავტორი ამტკიცებს, რომ ლ.ბერია სულაც არ იყო ის სასტიკი და სისხლიანი ჯალათი, როგორადაც ტრადიციულად მიღებულია მისი წარმოჩენა აგერ უკვე მრავალი წელია. ავტორი ლ.ბერიას ფიგურაში ხედავს სტალინური ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ და შორსმჭვრეტელ მოღვაწეს, ხოლო მასზე მიწერილ დანაშაულებებს მიიჩნევს ბევრწილად ძალაუფლებისთვის ბრძოლაში მისი მეტოქეების მონაგონად (ძალაუფლებისთვის კი ბერია არც იბრძოდა – **ს.კ.**). ბერიას წინააღმდეგ ტრადიციული ბრალდებების შეჯერებით მისი ცხოვრების რეალურ ფაქტებთან, ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ და რატომ გამოჩნდა ყოველი ამ ბრალდებათაგანი და მკითხველთ მიანდობს მის გადაწყვეტას, თუ რამდენად დამაჯერებელია ავტორისეული ვერსია“.

როგორც ვხედავთ, ვინც კი ხელს კიდებს ბერიას ობიექტურ ანალიზს, უმალვე ემიჯნება ტრადიციულ კლიშეებს; რაც შეეხება ზემოთ მოყვანილი ანოტაციის ბოლო ფრაზას, მკითხველს ხომ თავად გამოაქვს ავტორის ნამუშევარზე დასკვნა და არ საჭიროებს მის ნებართვას. იგი ჩემს ძალისხმევათა მიმართაც გამოიტანს დასკვნას, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა; ისიც მეყოფა, რომ გავწიე ასეთი სამუშაო...

ოღონდ რაღაცა, ალბათ, კიდევ უნდა ვთქვა.

ცნობილმა მწერალმა ალექსანდრე ბუშკოვმა დასვა კითხვა: „რაიმე ახსნა ხომ უნდა ჰქონდეს იმას, რომ ბერიას, არსებითად, განუსაზღვრეს ის ადგილი, რომელსაც რელიგიათა უმრავლესობაში იკავებს ბოროტი სული, დემონი, სატანა...“

და ამ ერთ კითხვაში, უპასუხოდაც კი, მეტი ჭკუა და გრძნობაა, ვინემ ბერიას მკვლევართა ყველა „დემოკრატიულ“ ნაწერში; ოღონდ როგორია, მაინც, აქ პასუხი?..

ალექსანდრე ბუშკოვის ზუსტ შეკითხვას რომ ყველაზე სრული პასუხი გაეცეს, ავწონ-დავწონოთ, თუ რუსეთის უახლესი ისტორიის რომელი ფიგურები უნდა ვცნოთ დღეისათვის ყველაზე „ნიშნადად“?

პირველი, უცილობლად, – ლენინი; მეორე – სტალინი; მესამე კი ხომ ბერიაა!

რა იყო ასეთი ლენინი რუსეთის ისტორიაში?

1917 წლისათვის რუსეთის იმპერიის საგარეო მოკლევადიანი დავალიანება უტოლდებოდა სამ ომამდელ ბიუჯეტს... აი, რას ააცილა რუსეთი დიდმა რუსმა პატრიოტმა ულიანოვმა-ლენინმა; და მანვე მისცა ქვეყნის ხალხებს თავისუფლებისა და ბედნიერების შანსი.

შემდგომ სტალინს მიჰყავდა რუსეთი და მისი ხალხები თავისუფლებისა და სიდიადისკენ; და რაღაა სტალინი? ეს გახლავთ ამოცანა „დავეწიოთ და გავუსწროთ!“ ტყუილად კი არ გამოიშვებოდა მის დროში „დდგ“ სერიის დაზგები; თუმცა, სტალინი ყოველთ უწინარეს – ეს არის იმ ახალი ადამიანის ფორმირების ამოცანა, რომლის მასობრივი გამოჩენა რუსეთში სოციალიზმის გამარჯვების მთავარი ფაქტორი უნდა გამხდარიყო.

ხოლო ბერია? ხოლო ბერია – სტალინის მერე სიდიდით მეორე ფიგურა გახლავთ სოციალიზმის აშენებისა და განვითარების ვეებერთელა პოტენციალის მქონე, მოწინავე მძლავრ სახელმწიფოდ, ქალამნებიანი რუსეთის გადაქცევის ეპოპეაში. დიახ, არა მოლოტოვი, არა კაგანოვიჩი, არა ორჯონიკიძე, არამედ ბერია!

უკვე ომის წინ მან, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის რანგში, დაიწყო თავის თავზე აღება სახელმწიფო მუშაობის კონკრეტული ხელმძღვანელობის სულ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილისა. ომმა საბოლოოდ გამოავლინა მისი მნიშვნელობა, ფორმალურადაც რომ დააყენა ლავრენტი პავლოვიჩი 1944 წელს მეორე ადგილზე იმჟამინდელი უმაღლესი ხელისუფლების სტრუქტურაში.

და მაშინ საბოლოოდ ნათელი გახდა, რომ ბერია ჩეკისტი, სპეცსამსახურების მეთაური იყო სახელმწიფოებრივი აუცილებლობით, აი, საერთო სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური მუშაობის ორგანიზატორი კი მოწოდებით, ტალანტის არსით გახლდათ.

ცხოვრებიდან ნაადრევად წასულმა ალექსეი ტოპტიგინმა ვერა და ვერ მოასწრო ხელში დაჭერა 2002 წელს გამოსული თავისი წიგნის „უცნობი ბერიას“ სტამბური ცალისა. მე დიდად ვაფასებ მის შრომას – ლავრენტი პავლოვიჩის ობიექტური ისტორიული სახის ხელახლა შესაქმნელად ტოპტიგინმა ცოტა როდი გააკეთა; თუმცა, თავად, ალბათ, „ლპ“-ის არსში სრულად ვერ გაერკვა. ყოველ შემთხვევაში, ის თავისი წიგნის ბოლოთქმაში უცებ იწყებს ბერიას პიროვნებასა და ბედზე ფიქრს სს-ის რაიხსფიურერის ჰენრიხ ჰიმლერისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინეთის კომპარტიის „დიდი ინკვიზიტორის“, კან შენის პიროვნებებსა და ბედთან შეპირისპირებით; და ღირდა განა საერთოდ საკითხის ასე დაყენება?

ეს კია, რომ ტოპტიგინი წერს:

„კან შენს არცთუ იშვიათად ჩინელ ბერიას უწოდებენ. არ ვიცი, რამდენად სამართლიანია ეს შედარება. ბერია, ობიექტურად რომ ითქვას, არ იყო თეთრსამოსიანი გმირი, მაგრამ მისი დამსახურებანი სახელმწიფოს წინაშე, რომელსაც რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდა სხვადასხვა სარბიელზე, უეჭველად ვერასგზით ვერ შეედრება ვერც გულგრილ მკვლელს ჰ. ჰიმლერს, ვერც სისხლმწყურვალ დემაგოგს კან შენს“.

არადა, „ლპ“-ის როგორმე შედარების ცდა გინდა ჰიმლერთან, გინდა კან შენთან ძირშივე ობიექტურად უმართებულოა! უკვე იმიტომაცაა უმართებულო, რომ შეუძლებელია წარმატებული ჰიმლერისა და კან შენის წარმოდგენა სპეცსამსახურის სარბიელის გარეშე. ბერიასი კი არამცთუ წარმოდგენა შეიძლება – მან, სპეცსამსახურებში თავისი მართლაც ბრწყინვალე და სახელმწიფოსათვის უზარმაზარი მნიშვნელობის მქონე საქმიანობის გარდა, გამორჩეული წვლილი შეიტანა ქვეყნის საერთო სამეურნეო და სახელმწიფოებრივ განვითარებაში; და მისი საერთო სახელმწიფოებრივი ძალისხმევები უეჭველად აღმოჩნდა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული, ვიდრე სუფთა ჩეკისტური.

წმინდა ადამიანური თვალსაზრისითაც არ არის სადარი გერმანული და ჩინური ისტორიის ორი პირქუში ფიგურა „ლპ“-ის ფიგურასთან; და მაინც ა.ტოპტიგინმა ვერ გაბედა მკაფიო პოზიციაზე დადგომა თავისი გმირის მიმართ, მხოლოდ აუწყა მკითხველს ბოლოთქმაში, რომ „ლავრენტი პავლოვიჩ ბერია იყო გონიერი კაცი, ნიჭიერი ორგანიზატორი სიკეთეშიც და ბოროტებაშიც...“

თარგმნა
**თამაზ ებანოიძე**

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. სრ. № 138-152, 154-161, 163

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ფეხბურთის ისტორიას მრავლად ახსოვს ფაქტები, როცა ეროვნული ჩემპიონატის დებიუტანტებს ერთი სეზონის განმავლობაში ლიდერობა უტჯვირთიათ და, ასე განსაჯეთ, ოქროს მედლებიც მოუპოვებიათ.**



ვერ გეტყვით, წლევანდელი ქართული პირველობა როგორ დასრულდება, მაგრამ სტარტი რომ საჩხერის „ჩიხურამ“ და თბილისის „დინამომ“ ჩაახუჭუჭეს, ბევრ რამეზე მეტყველებს.

ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბისაგან ასეთ თამაშს მიჩვეულნი ვართ და ის უფრო გასაკვირია, შარშანდელი ჩავარდნის შემდგომ მომხდარ სასიკეთო მეტამორფოზაზე რომ გვიწევს საუბარი, ამიტომ, მოდით, ორიოდე თბილი სიტყვა ზემოიმერლებს შევაწიოთ.

არავისთვისაა საიდუმლო, რომ სოსო ფრუიძის შეგირდთა წარმატებები ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირდება, რომელიც სრულიად საქართველოს ჰყვება თან და, ბუნებრივია, მშობლიური რაიონის გუნდიც დააყენა ფეხზე. ვიმედოვნებთ, ქველმოქმედ მამულიშვილს ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში პროფესიონალთა დაწინაურების საშუალება სპორტის სხვა სახეობებშიც მიეცემა.

**III ტურის შედეგები:** „ბათუმი“ – „დინამო“ 0:3, „ტორპედო“ – „ზესტაფონი“ 1:0, „ვიტ ჯორჯია“ – „ჩიხურა“ 0:1, „ბაია“ – „კოლხეთი“ 1:1, „მეტალურგი“ – „მერანი“ 0:1, „დილა“ – „სიონი“ 2:3.

მიაქცევდით, ალბათ, ყურადღება უკანასკნელი მატჩის შედეგს. დიახ, ყოვლისშემძლე ვანო მერაბიშვილის ნაამაგარმა ბიჭებმა ზედიზედ მესამე შეხვედრა წააგეს და მაშინ, როცა „ქართული ოცნების“ თავკაცის მზრუნველობით გარემოსილი მისი თანამემამულენი გათამაშების სატურნირო ცხრილს უდგანან სათავეში, რეფორმირებული პოლიციის წარმომადგენლები მის ფსკერზე არიან დალექილნი.

შეიძლება ბევრმა შიდაქართლელთა ასეთი სუსტი სტარტი ევროპის ლიგის მორიგი საკვალიფიკაციო ეტაპის მოახლოებულ საპასუხო ბრძოლას დააბრალოს, აქაოდა პორტუგალიურ „მარიტიმუსთან“ სარევანშო დუელის წინ ძალები დაზოგესო. ნეტავ მართლაც ასე იყოს – ყველა კითხვას პასუხი ზეგ 20 საათზე ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაეცემა.

* * *

**იტალია.** „მილანი“ – „სამპდორია“ 0:1, „რომა“ – „კატანია“ 2:2, „იუვენტუსი“ – „პარმა“ 2:0, „პესკარა“ – „ინტერი“ 0:3, „ფიორენტინა“ – „უდინეზე“ 2:1, „ატალანტა“ – „ლაციო“ 0:1.

**ესპანეთი.** „ოსასუნა“ – „ბარსელონა“ 1:2, „ხეტაფე“ – „რეალი“ 2:1, „ვალენსია“ – „დეპორტივო“ 3:3.

**ინგლისი.** „ლივერპული“ – „სიტი“ 2:2, „ჩელსი“ – „ნიუკასლი“ 2:0, „სტოკი“ – „არსენალი“ 0:0, „მანჩესტერი“ – „ფულჰემი“ 3:2.

**გერმანია.** „ბორუსია“ – „ვერდერი“ 2:1, „ფიურტი“ – „ბაიერნი“ 0:3, „ჰანოვერი“ – „შალკე“ 2:2, „შტუტგარტი“ – „ვოლფსბურგი“ 0:1.

ჭიდაობა

# ჭაბუკ ფალავანთა უხვი ნადავლი

**აზერბაიჯანის დედაქალაქში დამთავრდა ჭაბუკ ფალავანთა მსოფლიოს პირველობები თავისუფალ და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრები გუნდებიც მონაწილეობდნენ.**



**„თავისუფლებში“, როგორც გაუწყეთ, ომარ გურჯიძემ იყოჩაღა.** 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან ზედიზედ დაამარცხა ამერიკელი ჯეკ ბასი, ირანელი რეზა როსტამალი მოზაფარიჯუბარი, ბულგარელი საბრი საბრიევი, ფინალში კი უკრაინელ სერგეი დრამარეცკის აჯობა (1:0, 8:1) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ამ სახეობაში ჩვენებურთაგან მედალს სხვა ვერავინ შესწვდა. ირაკლი მხეიძემ (46 კგ), გიორგი ლეჟავამ (50) და ავთანდილ კვაჭაძემ (58) მესამე ადგილებისთვის გადამწყვეტი პაექრობები დათმეს და მე-5 ადგილებს დასჯერდნენ.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა 6 მედალი მოიპოვეს, მაგრამ არც ერთი უმაღლესი სინჯის არ აღმოჩნდა. პირველ დღეს ფინალში გავიდა გენადი ჩიტაძე (42), იქ კი უკრაინელ არტურ პოლიტაიევთან დამარცხდა (0:5, 0:1) და ვერცხლის მედალი ერგო. ასპარეზობის დასკვნით დღეს ოქროსთან ახლოს იყვნენ რამაზ ზოიძე (46), ბაკურ გოგოლი (54), გელა ბოლქვაძე (63) და ბექა კანდელაკი (100), მაგრამ ბოლო ორთაბრძოლებში სანუკვარი მიზნისკენ მათ გზა გადაუღობეს აზერბაიჯანელებმა – მიხაილ რაჰიმოვმა, კარიმ კაფაროვმა, რაჰიმ მიჰაილოვმა და თურქმა ემრე სელაპატინ მუთანმა. 76 კილოში ნიკა გავაშელი მესამე ადგილზე გავიდა. ქართველმა „კლასიკოსებმა“ 62 ქულით გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს და მესამეზე გასულ რუსებს ქულით აჯობეს. 84 ქულით პირველობა მასპინძლებს ხვდათ.

**ლექსო ცინცაძე**

კალათბურთი

# გამარჯვებულიც გავასამართლოთ?

**მართლაც რომ უმადური პროფესიაა მწვრთნელობა: წააგებ – შენი ბრალია, მოიგებ – მაინც შენი „ბრალია“.**

**საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების სერბ თავკაც იგორ კოკოშკოვზე მოგახსენებთ, რომელსაც „ევრო-2013“-ის შესარჩევი ციკლის სტარტზე მოპოვებული ზედიზედ სამი გამარჯვების მიუხედავად, ზოგიერთი კალმოსანი აუმხედრდა – აქაოდა კარგად დაწყებული საქმე ბოსნიასა და თბილისში ლატვიელებთან გაჭირვებით მიიყვანა გამარჯვებამდეო.**

ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს ადვოკატად დავუდგე, მით უმეტეს იმ მწვრთნელს, რომელიც პრესკონფერენციებზე მოსვლას რატომღაც არ კადრულობს და თუნდაც ამის გამო მეც ვაპირებდი მის გაკრიტიკებას, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში, ვფიქრობ, ზოგიერთი კოლეგა ემოციებს აჰყვა და გულისნადების სათქმელად შეუფერებელი დრო აირჩია.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი ლიტვური ევრობასკეტის შემდეგ, სადაც 8 შეხვედრიდან 6 (!) წავაგეთ, ბალკანელი სპეციალისტი ლამის ეროვნულ გმირად შერაცხეთ. დალოცვილებო, მაშინ ამოგეღოთ ხმა.

რაც შეეხება ამ დღეებში ამოხეთქილ ბოღმას, გაჟეჟილს გატეხილი სჯობს და პირდაპირ მოვჭრი: კვალს ნაკრებიდან მოკვეთილი ცქიტიშვილის, ვლადიმერ ბოისასა და გამყრელიძის გამოსარჩლებისკენ მივყავართ, მაგრამ ჩასაფრებულის პოზიციის გამოსახატავად, ალბათ, „ჯვაროსანთა“ წაფორხილებამდე მოცდა უფრო უპრიანი იქნებოდა, თორემ რა გამოდის: გუნდის მესაჭეს უდანაკარგოდ თამაშის ფონზე შეებნენ, მას კი ხელში გაუჭრელი კოზირი უკავია: ასპროცენტიანი შედეგი!

**საქართველო – ლატვია 79:76**

**საქართველო:** მარკოიშვილი – 19, ფაჩულია – 18, შენგელია – 12, სანიკიძე – 10, ცინცაძე – 9, პულენი – 9, შერმადინი – 2 ქულა.

სხვათა შორის, სასელექციო პოლიტიკა რომ გადასახედია, უდავოა, რაც ბალტიისპირელებთან მსაჯების დახმარებით მოგებულმა მატჩმაც დაადასტურა, მაგრამ ვიმეორებ: საკუთარი მოსაზრების გასაზიარებლად ოპტიმალური მომენტი შევარჩიოთ.

**გია პლატონიშვილი**




ჭადრაკი

## ჩემპიონს ამჯერად „ბრინჯაო“ ერგო

**ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, წელთა სიმძიმის მიუხედავად, ხშირად მონაწილეობს საჭადრაკო ფესტივალებსა თუ საერთაშორისო ტურნირებში. ვეტერანთა შორის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი და პრიზიორია.**



გასულ უქმეებზე მან მედლების კოლექცია კიდევ ერთი „ბრინჯაოთი“ გაიმდიდრა: კაუნასში დამთავრდა სენიორ მოჭადრაკეთა ევროპის მე-12 პირველობა, რომელშიც სახელოვანი ქართველი დიდოსტატი რეიტინგფავორიტი გახლდათ. 5 ტურის ჩათვლით ლიდერთა შორის იყო. მეექვსეში მოულოდნელად დამარცხდა, არადა, უკეთესი პოზიცია ჰქონდა. გაფრინდაშვილმა შემდეგ ზედიზედ სამ მეტოქეს სძლია და 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა, რაც მხოლოდ მესამე ადგილისთვის ეყო. ამდენივე ქულას მოუყარა თავი რუსმა გალინა სტრუტინსკაიამ, მაგრამ უკეთესი დამატებითი მაჩვენებლით ვერცხლის მედალი ერგო. 7,5 ქულით ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა ესტონელმა ტატიანა ფომინამ, რომელმაც ბოლო ტურში თამარ ხმიადაშვილს მოუგო. ამ უკანასკნელს 5 ქულით მე-8 ადგილი ხვდა. ნინო მელაშვილი 4,5 ქულით მე-11 იყო.

მამაკაცებშიც დაძაბულად წარიმართა ჩემპიონატი. საბოლოოდ 9 შესაძლებლიდან 7-7 ქულით პირველი-მესამე ადგილები ნიკოლაი პუშკოვმა (რუსეთი), ვიქტორ კუპრეიჩიკმა (ბელარუსი) და ევგენი მოჩალოვმა (ბელარუსი) გაინაწილეს.

# მხოლოდ ორი მედლით



**ჩეხეთის დედაქალაქმა პრაღამ 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობას უმასპინძლა. შეჯიბრებაში 46 ქვეყნის 1173 წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის 22 საქართველოდან. ჩვენებურებმა, წინა ჩემპიონატებისგან განსხვავებით, დიდად ვერ გაგვახარეს – თითო ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. 8-წლიან ბიჭებში საქართველოს ჩემპიონმა და ევროპის თასის მფლობელმა ნიკოლოზ კაჭარავამ, ბულგარელი ცვეტან სტოიანოვის მსგავსად, 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა და უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილს დასჯერდა. ჩემპიონობა ბულგარელმა დაიმსახურა. 7 ქულით მესამე იყო ინგლისელი ჯოშუა ელთმენი.**

14-წლიან ვაჟებში გიორგი სიბაშვილი 141 მონაწილეს შორის რეიტინგით 34-ე იყო, მაგრამ ასპარეზობის სტარტიდანვე მეწინავეთა შორის იყო. საბოლოოდ 7 ქულას მოუყარა თავი, რამაც ბრინჯაოს მედალი მოუტანა. უკეთესი დამატებითი მაჩვენებლით სომეხი მანუელ პეტროსიანი, რომელსაც სიბაშვილი ბოლო ტურში დაუზავდა, მეორე ადგილზე გავიდა. 8 ქულით პირველი ადგილი პოლონელმა იან-კშიშტოფ დუდამ დაიკავა.



რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, პრაღაში ჩვენი გოგონები უმედლოდ დარჩნენ (მგონი, ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირველი შემთხვევაა), არადა, ბოლო ტურის წინ 16-წლიანებში ჯილდოს მოპოვების რეალური შანსი ჰქონდა ნატო იმნაძეს. ქართველმა მოჭადრაკემ, სამწუხაროდ, გადამწყვეტი პარტია უკრაინელ მარია ტანციურასთან წააგო და 6,5 ქულით მე-4 ადგილზე გავიდა. ჩვენი მოჭადრაკეების უმრავლესობა ოცეულს მიღმა აღმოჩნდა, რაც დამაფიქრებელი ფაქტია.

**ევროპის პირველობაზე 46 ქვეყანას შორის მედლები მხოლოდ 17 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა გაინაწილეს:** რუსეთი – 10 (5 ოქრო, 3 ვერცხლი, 2 ბრინჯაო), პოლონეთი – 2 (2, 0, 0), სომხეთი – 3 (1, 2, 0), უკრაინა – 2 (1, 0, 1), ბულგარეთი – 2 (1, 0, 1), ბელარუსი – 1 (1, 0, 0), საბერძნეთი – 1 (1, 0, 0), აზერბაიჯანი – 3 (0, 2, 1), საქართველო – 2 (0, 1, 1), ესპანეთი – 2 (0, 1, 1), ისრაელი – 2 (0, 1, 1), რუმინეთი – 1 (0, 1, 0), ჰოლანდია – 1 (0, 1, 0), საფრანგეთი – 1 (0, 0, 1), ლიტვა – 1 (0, 0, 1), სლოვაკეთი – 1 (0, 0, 1), ინგლისი – 1 (0, 0, 1).

**გიორგი გაგუა**

შაბათ-კვირის ჩანაწერები

## ისევ სიძულვილის აღზევება?!

**მოსალოდნელი იყო და აღდგა კიდეც ჭეშმარიტად „თავმოსაწონებელი“ ტრადიცია „იმისტებისა“ და „ამისტების“ დაპირისპირებისა. ქვის სროლა და აყალ-მაყალი კი არა, ზოგ ოჯახში უკვე ცოლ-ქმარი და დედმამიშვილი ებუტება ერთმანეთს პოლიტიკურ საკითხებში სხვადასხვა პოლუსზე დგომის გამო. საქართველოში ხომ კარგა ხანია, შევეჩვიეთ — „როგორ ბედავ, იქონიო, საკუთარი აზრი!“, „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია!“ არადა, დენთის სუნს ვგრძნობთ უკვე... ასე არ იყო ოცი წლის წინათაც? იმდენი ვქენით, სანამ ძმათა სისხლი არ დაიღვარა.** და იცით, ჩემი აზრით, „ლომის წილი“ ამ უბედურებაში ვის ჰქონდა? პრესას (სად იყო მაშინ ტელევიზია ესოდენ აქტიური), დიახ, დიახ, ახალფეხადგმულ, ვითომ თავისუფალ ერთ-ორ გაზეთს (აღარ მინდა ახლა მათი რედაქტორების დასახელება, ერთ-ერთი კარგა ხანია უკვე ამ ქვეყნად აღარ არის), რომლებიც გამალებით „კვებავდნენ“ „ზვიადისტებსა“ და „შევარდნაძისტებს“ წამქეზებლური მასალებით.

ჰოდა, ამჯერად, სწორედ ჟურნალისტებმა უნდა ვიტვირთოთ უდიდესი მისია — არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ სიძულვილის აღზევება, ისევ „იმისტებად“ და „ამისტებად“ დაყოფა, ჩვენს ნაწერებში თუ სატელევიზიო საუბრებში ვეცადოთ, რომ არ დავუპირისპიროთ ერთმანეთს ყალყზე შემდგარი იმერ-ამერი! მტრისას ახლა ცეცხლზე ნავთის დასხმა!

## „ლექსის მწერალი ხშირდება“

**ამას ბარე ორმოცი წლის წინათ წერდა ჩვენი ძვიფრასი მურმან ლებანიძე, ლექსის მწერალი არასდროს აკლდა საქართველოს („ყველა ქართველი პოეტია“), მაგრამ, დღეს ნამეტანიაო, წუხდა პოეტი, რადგან, „რამდენი რამე სჭირდება ნამდვილ პოეტს და რაინდს“.**

ეეეეე... ბატონო მურმან!.. როგორც ყველაფერი, ლექსის წერაც გაადვილდა და გაუფასურდა დღევანდელ საქართველოში, რამეთუ, ბეჭდვა გაადვილდა ნამეტნავად. „მთავარია, გქონდეს ფული“ და თქვენ — „ნამდვილ პოეტს და რაინდს“ — გელოდებათ ათსნაირი ჟურნალ-გაზეთი და გამომცემლობა. „მთავარია, გქონდეს ფული“... ისეთ პოეტს რა ვუთხარი, რომელსაც ცოტათი მაინც არ სჭირს განდიდების მანია, ჰოდა, რა ენაღვლებათ, ცოტას რედაქციებისა და გამომცემლობების თანამშრომლებიც შეაქებენ. „ვა, ეს რა მაგარი რამე დაგიწერია, კაცო!“ და სახეგაბადრული „გენიოსი“ უმალ იხდის ბეჭდვის საფასურს, მეორე დღეს კი გაზეთის თითქმის ნახევარ ტირაჟს ყიდულობს, რომ ნაცნობ-მეგობრებსა და ნათესავებს მთელ გვერდზე გადაჭიმული მისი ლექსები უსახსოვროს. ზუსტად ასევეა გამომცემლობაშიც — გადაიხდი და ერთ-ორ თვეში უკვე წიგნის ავტორი ხარ!..

რაც არი არი, სულმნათო, ბატონო მურმან!.. დღეს საქართველოში გამეფებულ უსულგულობას, მილიონჯერ სჯობს პოეტური სულის ადამიანების სიმრავლე. წერონ, ბეჭდონ, სჯეროდეთ...

წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიან.

## მარიამობას გვილოცავს „დატყვევებული“ ნინო ჩხეიძე

**ახლა გავხალისდეთ...**

**მხვდება რუსთაველზე კარგი ქართველი კაცი და ჩვენი რედაქციის ერთგული მეგობარი ლადო აბულაძე, თქვენთან მოვდიოდი, ნახე, ერთი, რა სურათი გაჩვენოო და მაწვდის სურათს.**

— ეს ხომ ნინო ჩხეიძეა კაცო!

— მაშ... — ქალბატონი ნინოა, უშანგი ჩხეიძის ძვირფასი დაია, სამოცდაათი წლის განმავლობაში მარჯანიშვილის თეატრის შესანიშნავი მსახიობი, თავისი გენიალური ძმის შესახებ უნიკალური წიგნი-ალბომის ავტორი...



— საიდან, როგორ!.. თითქოს საკანშია, გისოსებს მიღმა... რა ხდება?!

— უშანგი ჩხეიძის, ქალბატონი ნინოს და მთელი მისი ოჯახის სიყვარულის გამო, ხშირად ვნახულობ ხოლმე ქალბატონ ნინოს. იგი უკვე 92 წლისაა, ცხადია, თეატრში აღარ მოღვაწეობს... ამ რამდენიმე დღის წინათაც მივაკითხე ფოტოხელოვან ლევან გორგიჯანიძესთან ერთად უზნაძის ქუჩაზე. ბელეტაჟზე დგას მათი ბინა. ქვემოდან შევეხმიანე. მოადგა გალებული ფანჯრის გისოსებს, ცოტა ხნით გავიდნენ ქალაქში და სახლში ჩაკეტილი ვარ, ვერ მიგიღებო, — გაიბადრა თავისებურად. მივართვი ხატები თან მარიამობა მივულოცე... გაიხარა, დაგვლოცა და მთელ საქართველოს წინასწარ მიულოცა მარიამობა. ლევანმა, ცხადია, ფოტოზე აღბეჭდა ეს მომენტი... ა, ძმაო, თუ გნებავთ დაბეჭდეთ გაზეთში, — მეუბნება ლადო აბულაძე და რამდენიმე ფოტოსურათიდან ერთ-ერთს მაწვდის! აი, ისიც: საქართველოს სახალხო არტისტი ნინო ჩხეიძე მარიამობას ულოცავს საქართველოს!

ვილენ მარდალეიშვილი

ინფორმაცია



## ქართველი ასტრონომები აბსურდს უწოდებენ

**ქართველი ასტრონომები ცაზე ორი მთვარის გამოჩენის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას აბსურდსა და ჭორს უწოდებენ.**

**— ინფორმაცია ორი მთვარის მოსალოდნელ გამოჩენაზე აბსურდი და ჭორია. საიდან მოდის ეს ინფორმაცია, აბსოლუტურად გაუგებარია. მეცნიერებაში არ არსებობს პრეცენდენტი ორი მთვარის არსებობის შესახებ,— განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ აბასთუმნის ობსერვატორიის მკვლევარმა, ახალციხის უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა რევაზ ჭიღლაძემ.**

**გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციით, ე.წ. „მეორე მთვარე“ შესაძლოა, დედამიწასთან მოახლოებული რომელიმე პლანეტა იყოს. მკვლევრები ამ ინფორმაციასაც უარყოფენ.**

**— ვენერა დედამიწასთან არც ისე ახლოსაა, მარსი და სატურნი კიდევ უფრო შორდებიან დედამიწასაც და მთვარესაც, ამიტომ მათი მოახლოება და მთვარესთან ერთად გამოჩენა გამორიცხულია, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ აბასთუმნის ობსერვატორიის თანამშრომელმა გივი ქიმერიძემ.**

ინტერპრესნიუსი

შეუცნობელი

# დელფინების კონსტიტუცია

**დელფინები და ვეშაპები იმდენად გონიერნი არიან, რომ მათ დასაცავად უფლებათა დეკლარაციის მიღებაა საჭირო, რაც მათთან როგორც „არა ადამიანთა მოდგმის პიროვნებებთან“ მოპყრობის სამართლებრივი საფუძველი გახდება.**

ეს მეტად უჩვეულო რეზოლუცია ამერიკის მეცნიერების განვითარების ასოციაციის მიერ ვანკუვერში ჩატარებული კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს. აღნიშნულ დოკუმენტს ათობით ბიოლოგმა, ფილოსოფოსმა და ცხოველთა უფლებების დამცველმა მოაწერა ხელი. ცხოველთა უფლებების დაცვის თაობაზე ბილის შედგენა სამართალდამცავი ორგანიზაციის ჰელსინკის ჯგუფის მეცნიერებმა ითავეს, რომელშიც ასევე ვეშაპებისა და დელფინების ბრიტანული ორგანიზაციის წევრებიც შედიან.

**— დელფინებს თვითშეგნება აქვთ, რასაც თუნდაც ის გარემოება მოწმობს, რომ სარკეში საკუთარი თავის ამოცნობა შეუძლიათ,** — ამბობს კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილე, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი ხუან გონსალვო (იტალია) — ამის გარდა, **დელფინები თავიანთ სნეულ თანამოძმეებს საკვებს აწვდიან, ხოლო თუკი მეთევზეები აჭმევენ, ამის „საფასურად“ მათაც ეხმარებიან! მეტიც: დაღუპულ შთამომავლობას ისინი ადამიანებივით გლოვობენ!**

ასეთ „ადამიანურ ქცევას“ ცოტა ხნის წინათ ახსნა უპოვეს: დელფინებში თანაგრძნობასა და ინტუიციაზე პასუხისმგებელი ნეირონები აღმოაჩინეს.

**— ვეშაპისებრებს თითისტარისებრი ნეირონები აქვთ, რომლებიც ადამიანებში უბედურების შეგრძნებასთან არიან დაკავშირებულნი,** — ამბობს ზღვის ცხოველთა კვლევის ფონდის თანამშრომელი, დოქტორი ინგრიდ ვისერი (ახალი ზელანდია).

ამ ცხოველთა შესასწავლად მეცნიერებმა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია გამოიყენეს, რათა მიღებული შედეგები პრიმატების თავის ტვინის შესწავლის შედეგებთან შეედარებინათ.

**— დელფინის თავის ტვინი ადამიანისაზე დიდია, ხოლო სხეულის ზომებთან შედარებით, მოცულობით იგი მეორე ადგილზეა,** — აცხადებს ატლანტის (ჯორჯია) ემორის უნივერსიტეტის ზოოლოგი ლორი მარინო. **— აღმოჩნდა, რომ თავის ტვინის ორივე ნახევარსფეროს ქერქი იმდენად დიდია, რომ ადამიანის შემდეგ მეორე ადგილზე დგას.**



დელფინების ცნობილი მკვლევარი ჯეკ კოსევიცი და მისი ცოლი დონა, არაკომერციული ორგანიზაციის „მსოფლიო გულის“ დამფუძნებლები, ამჟამად უდიდესი პროექტის „დაველაპარაკოთ დელფინს“ ფარგლებში გამოკვლევას ატარებენ, რომელმაც გასაოცარი შედეგი გამოიღო: **პირველად ისტორიაში მკვლევრებმა დელფინებს... სიტყვების ეკვივალენტები აღმოუჩინეს! ეს თავისებური იეროგლიფებია, რომლებიც, არსებითად... დამწერლობას წარმოადგენენ!** დელფინების ასო-ბგერების, თუ სიტყვების მიგნება ორიგინალური ხელსაწყოს Cymascope-ის დახმარებით შევძელით, — ამბობს ჯეკ კოსოვიცი. **— საგანგებო მემბრანის მეშვეობით იგი საშუალებას იძლევა დავინახოთ და კომპიუტერზე გადავცეთ ის, თუ როგორაა განაწილებული სიხშირეები იმ ხმოვან სხივში, რომელსაც დელფინი გადმოსცემს. საბოლოო ანგარიშით, თითოეული „დაწრიპინება“ გარკვეული სურათის, ანუ იეროგლიფის სახით წარმოგვიდგება, რომელსაც „სიმაგლიფს“ ვუწოდებთ.**

**ამჟამად უკვე ცნობილია, რომ იეროგლიფი-სიმაგლიფები ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ჩვენს მიერ ქაღალდზე დაწერილი სიტყვები. არც ისაა გამორიცხული, რომ დელფინები სულაც ლაპარაკობენ და ესმით სურათების მეშვეობით: ისინი, ალბათ, სურათებს „გადასცემენ“, რომლებსაც შემდგომ მცნებებით „გაშიფრავენ“.**

ახლა მეცნიერები იმედოვნებენ, რომ დელფინების ენის ხილული სიტყვების შექმნას შეძლებენ. შემდგომ კი ამ სიტყვარის გამოყენებით საურთიერთოგოდ გამოსადეგ მთლიანი წინადადებების შედგენასაც შეძლებენ. მათი წარმოდგენით ეს სურათებად გარდასახული ბგერები უნდა იყოს. შუამავალ-მთარგმნელის როლს კი ისევე, როგორც ტრანსლატორ-სინთეზატორისა და მიმღების ფუნქციას, კომპიუტერი შეასრულებს. ახლა საქმე სიტყვარის შედგენაზეა.

ამდენად, შესაძლოა, ახლო მომავალში დელფინებმა სულაც თავად ვე დაწერონ საკუთარი კონსტიტუცია.

თამარ გოგიაშვილი



**ვალიდა მახარაძე, გრამიტონ კვარაცხელია, თეიმურაზ და ავთანდილ კვარაცხელიები ოჯახის წევრებთან ერთად ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი ნათესავი, ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი, სახელითა და დიდებით მოსილი პიროვნება, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**მურმან ილარიონის ძე ტურავა**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის მეუღლეს ელნარ რუხაძეს, ქალიშვილს გვანცა ტურავას.**

**პანაშვიდი 28, 29 VIII, 17 სთ. გამოსვენება 30 VIII, 15 სთ. მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, VII კვარტალი, II კორპუსი, პირველი სადარბაზო.**

ინფორმაცია

## ჟინვალის რწმუნებული ტყეში მოკლული იპოვეს

**ჟინვალის რწმუნებული ბესიკ ბუზალაძე ტყეში მოკლული იპოვეს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დუშეთის გამგებელმა ბესო ვარდიშვილმა განუცხადა. მისი თქმით, ჯერჯერობით მკვლელობის მოტივი უცნობია.**

**გამგებლის ინფორმაციით, ბუზალაძის ცხედარი თბილისში ექსპერტიზისთვის უკვე გადაასვენეს.**

**— მკვლელობა მოხდა წუხელ, პირველ საათზე. ბუზალაძე, მკვლელობიდან დაახლოებით ნახევარ საათში, ტყეში იპოვეს, — განაცხადა ბესო ვარდიშვილმა.**

* * *

**ჟინვალის რწმუნებულის ბესო ბუზალაძის მკვლელობაში ბრალდებული ლევან ბადაგაძე პოლიციას ჩაბარდა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შს მინისტრის მოადგილემ შოთა ხიზანიშვილმა განუცხადა.**

**მისივე ცნობით, ბადაგაძე ბუზალაძის მეგობარია, რომელმაც დანაშაული სუფრაზე შელაპარაკების შემდეგ, ცეცხლსასროლი იარაღით ჩაიდინა და ცხედარი მდინარეში ჩააგდო.**

ინტერპრესნიუსი

## ქართველები საზღვარგარეთ



# მისი წარმატების საწინდარი განსაკუთრებული ნიჭია

2012 წლის 12 ივნისს კაიროში საქართველო-ეგვიპტის მეგობრული ურთიერთობის 20 წლისთავი აღინიშნებოდა. ამ თარიღს მიეძღვნა ქართველი მხატვრის ნინო ნარიმანიძის ნამუშევრების გამოფენა. კაიროს საოპერო თეატრის საგამოფენო დარბაზში ხელოვნების მრავალმა მოყვარულმა მოიყარა თავი. გამოფენის გახსნას ესწრებოდა ნინო ნარიმანიძის აღზრდილების მთელი არმია. მხატვარი — კაიროს ხელოვნების აკადემიის კინოს უმაღლესი ინსტიტუტის პროფესორი - 16 წლის განმავლობაში ამ აკადემიის სტუდენტებს ხატვის ხელოვნების ურთულესი საიდუმლოების დაუფლებაში ეხმარებოდა და ჭეშმარიტად მათი გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. გამოფენაზე წარმოდგენილ ამ დახვეწილი გემოვნებით შესრულებულ ფერწერულ ტილოებზე ეგვიპტის უძველესი ძეგლები, პეიზაჟები თუ პორტრეტები მდიდარი ფერადი გამითაა გადმოცემული. იგრძნობა ადამიანთა სულში წვდომის საოცარი უნარი.

ნინო ნარიმანიძემ 1982 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის დეკორატიულ-გამოყენებითი ფაკულტეტი მინის განხრით. მისმა სადიპლომო ნამუშევარმა „სიმფონიამ" უმაღლესი შეფასება მიიღო. მას შემდეგ იგი მრავალი გამოფენის მონაწილეა. 1987 წელს ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე მხატვრის ნამუშევარი „რექვიემი" (ფერადი ბროლი) წლის საუკეთესო ნამუშევრად იქნა აღიარებული.

1994 წელს ნინო ნარიმანიძის პერსონალურ გამოფენაზე საქართველოს სახალხო მხატვარმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა მურაზ ბერძენიშვილმა ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება მის მიმართ: „ეს გამოფენა ვენეციაში რომ გვენახა, ტომებს მივუძღვნიდით. დიდი მადლობა ამ დახვეწილი ესთეტიკური გრძნობით, უმშვენიერესი ხედვით შესრულებული გამოფენისათვის. გისურვებთ დიდ წარმატებას".

„ნინო ნარიმანიძე გამოირჩევა განსაკუთრებული ნიჭიერებით, მაღალი გემოვნებით. ყოველი მისი ნამუშევარი პოეტური სულის გამოხატულებაა, საოცარი ფერების ჰარმონიაა. მასში განსაკუთრებული ნიჭი დაუშრეტელ ენერგიასთან არის შერწყმული". — ასე ახასიათებდა საქართველოს სახალხო მხატვარი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი ზურაბ ლეჟავა ამ ახალგაზრდა ხელოვანს.

მართლაც, მრავალმხრივია ნინო ნარიმანიძის შემოქმედება. იგი 1985-91 წლებში მუშაობდა გამომცემლობა „მერანში" მხატვრულ რედაქტორად. მის მიერ გაფორმებული და დასურათხატებული წიგნები გამოირჩევიან ორიგინალურობით და შესანიშნავად გამოხატავენ ლიტერატურული მასალის შინაარსს. 1989 წელს „წიგნის საუკეთესო დიზაინის" რესპუბლიკურ კონკურსში ნინო ნარიმანიძის მიერ მხატვრულად გაფორმებულ და ილუსტრირებულ წიგნს „ილია ზდანევიჩის ლექსები" უმაღლესი ჯილდო მიენიჭა როგორც წლის საუკეთესო ნამუშევარს.

მხატვარი ეგვიპტეში მოღვაწეობის პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა „სისაიის ქუჩის" გამომცემლობასთან და იგი მრავალი მაღალმხატვრულად ილუსტრირებული საბავშვო წიგნის, პლაკატის, აფიშის ავტორი გახლავთ.

ნინო ნარიმანიძის ნამუშევრები ინახება საქართველოს სამხატვრო გალერეაში, მოსკოვის, კიევის, სანკტ-პეტერბურგის ხელოვნების მუზეუმებში, აშშ-ის, ინგლისის, თურქეთის კერძო კოლექციებში. ამჟამად იგი ამერიკაში იმყოფება და თავისი ნამუშევრების გამოფენას აშშ-ის სამხატვრო გალერეებში გეგმავს. მხატვარი დღესაც აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მხატვართა კავშირთან.

ნინო შვანგირაძე,
ხელოვნებათმცოდნე.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# ჟურნალ-გაზეთებიდან



### ზუგდიდს გაუჩნდა შანსი, მოიშოროს ახალაიების კლანი

როლანდ ახალაიასთვის ხმის მიცემა ნიშნავს იმას, რომ ზუგდიდში, ამ ოდესღაც ლაღ და ამაყ ქალაქში, კიდევ დიდხანს დადიოდნენ დათრგუნვილი, დაშინებული, ცხოვრების ხალისდაკარგული ადამიანები, გაჭირვებისგან დაბეჩავებული კაცები და ქალები, პერსპექტივადაკარგული ახალგაზრდები, მაგრამ, აი, ზუგდიდელებს ეძლევათ შანსი ერთხელ და სამუდამოდ დაამთავრონ სამეგრელოში ახალაიების ფეოდალური მმართველობა.

„ასავალ-დასავალი"

### „ინვალიდ კაცს პენსია იმიტომ დამიყადაღეს, რომ ხელისუფლებაზე განსხვავებული აზრი მაქვს"

— გულისტკივილით ამბობს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში მცხოვრები სულიკო ჯამალაშვილი, რომელიც ბედის უკუღმართობით, ეტლს არის მიჯაჭვული, მაგრამ დამოუკიდებლად მართავს მანქანას, ესწრება ოპოზიციის აქციებს... — სწორედ ამის გამო უკვე ათი თვეა პენსია დამიყადაღეს, მიწის გადასახადი დაგიგროვდაო, ავტომობილის დაყადაღებაზეც მივიღე სასამართლო უწყება — ამბობს სულიკო ჯამალაშვილი.

„კვირის პალიტრა".

### „მე მინდა, საზოგადოება გავაფრთხილო, რომ სექტემბრის შუა რიცხვებში სერიოზული საფრთხე გვემუქრება"

— აცხადებს ექსპერტი მამუკა არეშიძე, — მესტიის მოსახლეობა პანიკაშია, აცხადებენ, რომ ე. წ. ლაგერის ტერიტორიაზე დამწკრივებული არიან სამხედროები, ასევე შეინიშნება მათი გადაადგილება სხვადასხვა მხარეს სვანეთის ტერიტორიაზე და მათთან მიახლოების საშუალებას არ აძლევენ... მზადდება სრულმასშტაბიანი პროვოკაცია... თუკი ხელისუფლება არჩევნებამდე დაინახავს, რომ „რაღაც ისე არ არის", მოეწყობა პროვოცირება „სამხრეთ ოსეთის" პირობით საზღვარზე და განმეორდება 2008 წელი, ოღონდ უკვე სხვა შედეგებით".

„ქრონიკა".

### „სამერ ჯობში" დასაქმებული სტუდენტები ხელფასს ითხოვენ

სტუდენტური დასაქმების პროგრამა „სამერ ჯობში" ჩართული სტუდენტები კუთვნილი თანხის აღებას ვერ ახერხებენ. პროგრამა უკვე ორი კვირაა დასრულდა, მაგრამ ხელფასი სპეციალურად ამ დასაქმებისთვის დამზადებულ ბარათებზე ჯერ კიდევ არ დარიცხულა.

ახალგაზრდებში ხმები გავრცელდა, რომ თანხა არც დაირიცხება, რადგან განათლების სამინისტროს ამის ფინანსები არ გააჩნია.

„რეზონანსი".

### მჭადიჯვარში „ქართული ოცნების" წევრებს სოციალური დახმარება მოუხსნეს

დუშეთის რაიონის სოფელ მჭადიჯვარში „ქართული ოცნების" წევრების კობა ქარჩაიძის და ვახტანგ მილდისელის ოჯახებს სოციალური დახმარება მოუხსნეს. როგორც ქარჩაიძემ და მილდისელმა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, მათ დახმარება პოლიტიკური ნიშნით შეუწყვიტეს. მათივე თქმით, ორივე ოჯახი რამდენიმე თვის წინ იყო გადამოწმებული და დახმარების მოხსნის საფუძველი არ არსებობდა.

„ახალი თაობა".

## ანეკდოტები

- ექიმო, თქვენ იმ კბილს მიღებთ, რომელიც არ მტკივა!
— ნუ დარდობთ, მტკივან კბილამდეც მივალ!

* * *

— მიხო, შენს სიდედრს სისხლი გადაუსხი, გიკვდება!
— რას ამბობ, სადა მაქვს გადასასხმელი სისხლი, ისიც არ ვიცი, სახლამდე მიმიყვანს თუ არა!

* * *

— როცა ჩემი ქმარი ფეხბურთს უყურებს ყურადღებას არ მაქცევს, — შესჩივლა ერთმა დაქალმა მეორეს.
— მოკლე კაბა ჩაიცვი.
— უკვე ვცადე, არ შველის.
— მაშინ ზურგზე ნომერი დაიწერე.

* * *

მიხოსთან მივა შვილი და ეუბნება:
— მამი, გახსომს, რო მითხარი, თუ მეხუთე კლასში გადახვალ 100 ლარს გაჩუქებო?



— ხო მახსომს, მერე?
ხოდა, ენდე, 100 ლარიც დაგეზოგება!

* * *

— შენი ცოლი მოიტაცე?
— ჰო, მოვიტაცე?
— ვინ გეხმარებოდა?
— ცოლის მშობლები

* * *

ბავშვი ატირებული დაბრუნდა სახლში და დედას ეუბნება:
— ბავშვები დამცინიან, სახე უკანალს მიგიგავსო.
დედა დაამშვიდებს, ეგ ეგრე არ არისო. მერე მამასთან მივა, მამაც დაამშვიდებს. წავა პაპასთან. პაპა ამ დროს ქვევრს რეცხავს. ბავშვმა ჩახედა, პაპამ რომ დაინახა დაუძახა:
ჰა, ჰა, აქ არა ქნა, შე შობელძაღლო!

* * *

— სუფრასთან სიდედრთან ერთად როცა ვარ ცოტას ვსვამ.
— ხოო? გაშინებს?
— არა. ერთხელ ისე დავთვერი სიდედრი ორად მეჩვენებოდა, ეგეთ საშინელებას კიდე ერთხელ ვეღარ გავუძლებ.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19,
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 30 აგვისტოს**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ძოგულია
299-62-77;
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ ბოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაძიძე 514 33-33-24